

საქართველო



IX წ.

საქართველოში გაზეთი.

IX წ.


№ 48.

კვირა, 25 ნოემბერი 1901 წელსა.

№ 48.

ნ. ა. დობროლიუბოვი. *)

20 ნოემბერს შესრულდა ორმოცი წელი რუსეთის გამოჩენილი მწერლის ნ. ა. დობროლიუბოვის გარდაცვალების დღიდან. ორმოცი წელი ისეთი ახალგაზდა ერის ცხოვრებაში, როგორც რუსეთა, ნამეტურ მისალიტერატურისა და შინაურ ცხოვრების განვითარებაში მეტად დიდი დროა. სწორედ ამ ორმოცი წლის წინეთ დაიბეჭდა რუსეთში „ხალხთ ბოროლი“ და მას შემდეგ შეუდგა იგი ახალი ცხოვრების გზას. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, ბევრი იმედი გაგვიცრუა შემდეგმა, თან ბევრი ახალი სამელო და სანუგეშო დაგვანახვა, მაგრამ არც ერთ ამას არ შეუკლია და არ შეუპოვებია სიმპატიები მწერალ-მოქალაქისადმი. ნ. ა. დობროლიუბოვი დღესაც ისეთივე საყვარელი, ისეთივე სასურველი გზის მანათობელია რუსეთის მოწინავე საზოგადოებისთვის, როგორც ორმოცი წლის წინეთ. მას დღესაც ისეთივე გატაცებით ეცნობა და იყვარებს მკითხველი, როგორც წინეთ, თუ



არა მეტათ და ამის მიზეზი მართლთ მართლ მისი ღრმა მიქალაქობრივი გრძობა და ჩვენი დროისთვისაც კი წარმოუდგენელი წინგამჭვრეტელობაა, რომელთა ბეჭედი აზის ყოველ მის ნაწერს. რუსეთის არა ერთი თაობა აღზრდილა მის ნაწერებზე; არა ერთი და ორი მამულიშვილისთვის ჩაუნერგავს მას ხალხისადმი წმინდა სიყვარული; და ჯერ კიდევ დიდხანს მოიგონებს მას მადლობით მისი ერი და მასთან ერთად ჩვენც, როგორც, ჯონებრივად და ზნეობრივად ამ ერთან ჟამთა-ვითარებისაგან დაკავშირებულნი: ბევრი ჩვენთაგანისათვის ისეთივე ხელმძღვანელობა გაუწევია რუსეთის დაუვიწყარ მამულიშვილს, როგორც თავისი თანამემამულეებისთვის.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლიუბოვი დაიბადა 24 ანვარს 1836 წელს. ჰამა მისი იყო ნიუეგოროდის ეკლესიის მღვდელი, კაცი თვის დროის შესაფერათ ჭკვიან-

გ. ა. ბურჯანია, შ. ა. ახუცია, ს. ა. დობროლიუბოვი, დ. ი. პისარევი, ვ. ვ. სტასოვი.

*) რუსეთის კრიტიკოსებზე ცალკე ვრცელი წერილი გვექნება ახლო მომავალში. რედ.

ნი და განათლებული. რადგანაც მას დიდი ოჯახი ეხ-
 ვია თავზე, ამიტომ ის უფრო საოჯახო საქმეებში იყო
 ჩანთქმული და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა შვილების
 აღზრდას; ასე რომ პატარა ნიკოლოზი იმყოფებოდა
 მთლიან დედის გააღვინის ქვეშ. მისდა საბედნიეროთ
 გულაგითილმა და სათნოიანმა მშობელმა განუსაზღვრე-
 ლი სიყვარულით და მზრუნველობით შეიმუშავა თვის
 პირმშოში იმისთანა მტკიცე ღმობიერი და მგრძობიარე
 ხასიათი, რომელიც ედება ხოლმე მკვიდრ საფუძვლიათ
 ბაგში აღზრდას ოჯახის გარეთაც. ამას ხელს უწყობდა
 ბუნებითი ნიჭი და ტემპერამენტი თვით პატარა ნიკო-
 ლოზისაც. კაცი გაოცებაში მოდის, როდესაც კითხუ-
 ლობს უკვე დაქობულებულ და ცხოვრების ქარ-ცეცხლში
 ჩარჩულ დობროლიუბოვის დღიურს. თითქმის მისი დღი-
 ურის ყოველ ფურცელზე შეხედებით თქვენ შეილობრი-
 ულ სიყვარულით აღფრთოვანებულ მოგონებას თვის დე-
 დის კალთის ქვეშ გატარებულ დღეებისა. ეს იყო ერ-
 თათ ერთი სანატრელი წარსული დობროლიუბოვის ცხო-
 ვრებაში, ეს იყო ერთთ ერთი სხივი, რომელიც ჩანა-
 თებდა ხოლმე მის მოგონების შავს ჯურღმულში, ეს იყო
 ერთთ ერთი ჯაჭვი, რომელმაც სიმწარეში გამოვლილი
 აღამიანი სიყვარულით დააკავშირა გათახსირებულ ცხო-
 ვრებასთან — ისევე ცხოვრებასთან საბრძოლველათ, ისევე მის
 ეკლიანი გზის ვარდებით მოსაფენათ! 1846 წელს ჯერ ისევე
 ათი წლის ბავში ის შეყავთ სასულიერო სასწავლებელში.
 ერთფეროვანი, მიყრუებული სასულიერო სასწავლებლის
 ცხოვრება სემინარიის საღვთისმეტყველო კლასამდე დობ-
 როლიუბოვისთვის საშინელ სულიერ ტანჯვას წარმოად-
 გენდა, ამას ზედ ერთობა და ცხოვრებისაგან გამაწარებული
 მისი მამის სიმკაცრე, მწარე სამღურავები, და ის ოჯა-
 ხური უსიამოვნებანი, რომელნიც ასე ხშირია ხოლმე ლა-
 რიბი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ მისი ცხოვრებასთან
 ნამდვილი პირისპირ შებრძოლება იწყება 1853 წლიდან,
 როდესაც ის მიიგზავრება პეტერბურგში უმაღლეს სას-
 წავლებელში შესასვლელათ. ჯერ ისევე სემინარიაში ახალ-
 გაზდა დობროლიუბოვი ხშირათ ოცნებობდა მწერლო-
 ბაზე, ლიტერატურაზე და გატაცებით ეწაფებოდა ყოველ-
 სავე წიგნს, რომელიც კი მოხვდებოდა ამ შეუფერებელ
 ფარგალში. ოცნებობდა ის პეტერბურგზე, ამ რუსეთის
 განათლების ცენტრზე, სადაც ის შეხვდებოდა პირისპირ
 იმ დროის მწერლობაში გამოჩენილ პირებს და მიეცემო-
 და საშუალება მოეკლა გულის წყურვილი უკეთესი წი-
 გნების კითხვით, უკეთესი წრეში ჩარევით. მამის ბრძა-
 ნებით და იმ მოვალეობით, რომელიც კი ედებოდათ იმ
 დროის სასულიერო წოდების კაცის შვილებს, ის უნდა
 შესულიყო სასულიერო აკადემიაში. თვით დობროლიუ-
 ბოვიც ამ განზრახვით გაემგზავრა პეტერბურგისაკენ და
 არც იმედი ჰქონდა სემინარიის პროგრამით სხვა უმაღ-
 ლეს სასწავლებელში თავის შეყოფისა, მაგრამ გადავიდა
 თუ არა ამ „ჩრდილოეთის პალმირას“ კარის ბქეს, მისი
 აზრები სხვაფრივ ათამამდენ და სრულებით სხვა მიზარ-
 თულებას დაადგენ. მან ცოტაოდენის თათბირის შემდეგ
 სასულიერო აკადემიას ისევე საერო-პედაგოგიური ინსტი-
 ტუტი ამჯობინა და თუმცა დიდის შიშით, მაგრამ მაინც
 გაბედა და დაიქირა კიდევ ეგზამენი ამ სასწავლებელში.
 გაიგო თუ არა მისმა მამამ შეილის ასეთი დალატი დიდი

რისხვა და სრული უარი შემოუთვალა მატრიკულაობა
 დახმარებაზე. ხოლო დობროლიუბოვიმ გასწავლავს თავის
 გზით. სასწავლებელში ცოტაოდენი მეცადენობის შემ-
 დევ მას სწავლა ისე გაუადვილდა, რომ შემდეგში თვის
 ამხანაგებსაც-კი ერთ უპირველეს ამხანაგ მასწავლებლათ
 გამოადგათ. ამავე დროს ის კითხულობდა აუარებელ წი-
 გნებს, იცნობდა იქაურ მწერლობას და მწერლებს, იღე-
 ბდა კერძო ვაკეითლებს, წერდა თითონაც ლექსებს და
 მოთხრობებს. სწორეთ ამ დროს, როდესაც ის გატაცებუ-
 ლი მისდევდა თვით გონების თანდათანობითი განვითა-
 რებას მას საშინელი მწუხარება დაატყდა თავზე, ერთს
 წელიწადს მოუკედა საყვარელი დიდა და ცოტახნის შე-
 მდეგ მამაც. დარჩენ შვიდი მცირე წლოვანი მისი დამმა-
 ნი მის ანაბარათ, მის შესანახათ. დიდი ტანჯვის შემდეგ,
 როგორც იყო, დობროლიუბოვი მოაგვარა საოჯახო სა-
 ქმე, დააბინავა აქეთ-იქით ნაცნობებში თვისი და-ქმანი
 და თვით კი ისევე შეუდგა წინანდელ გზას და შრომას
 არამც თუ თავის სარჩენათ, არამედ პატარა ობლებისა-
 თვისაც. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ოფიცია-
 ლურათ ითვლება 1855 წლიდან. ამ წელში მან დაწე-
 რა ლექსათ პასკვილი გრეხზე. ამ ლექსმა პეტერბურგის
 საზოგადოება ერთიან აალაპარაკა და დაინტერესა მისი
 ავტორის ვინაობაში, რომელიც იძულებული იყო დაე-
 მალა თავი დროების იმ ძლიერთავან.

1856 წელში მან დაბეჭდა ჟურ. „სოვრემენიკში“
 პირველი თვისი კრიტიკული წერილი: სახელდობ „რუსულ
 მწერლობის მოყვარულთადმი“. ეს წერილი არ დარჩა
 შეუნიშნავი და მის წინააღმდეგ გამოილაშქრა ბ-ნ გა-
 ლახოვი — იმ დროს შესანიშნავმა ბიბლიოგრაფმა და
 რუსული ლიტერატურის ისტორიის მცოდნემ; ამავე წელს
 და იმავე ჟურნალში მოათავსა მან მეორე წერილი: «ან-
 გარიში უმთავრეს პედაგოგიური ინსტიტუტისა», ეს წე-
 რილი შეეხებოდა თვით იმ სასწავლებელს, სადაც სწავ-
 ლობდა დობროლიუბოვი და დიდი ალიაქოთი გამოი-
 წვია პროფესორებში, მაგრამ თვით რედაქცია ისე იცავ-
 და ავტორის ვინაობას, რომ დობროლიუბოვი უვნებელი
 გადაურჩა ზენაარსთა დასჯას. 1857 წელს მან გაათავა
 ინსტიტუტი და ამის შემდეგ უფრო თამამათ შეუდგა,
 როგორც ლუკმა პურისთვის, ისე საზოგადოების კეთილ-
 დღეობისთვის ბრძოლას. ამავე წელს ის მიიწვია ნეკრა-
 სოვმა ჟურ. „სოვრემენიკში“ თანამშრომლათ და დაუ-
 ნიშნა თვეში 150 მან. ასე და ამგვარათ ახალგაზდა
 დობროლიუბოვი მალე შენიშნა იმ ახალგაზდათა წრემ,
 რომელიც მეთაურობდა ჟურ. «სოვრემენიკს» მობერე-
 ბულ „სევერნი პელას“ მომხრეთა საწინააღმდეგოთ.
 არა მარტო იმ დროის რეაქციონერებთან ქონდა მას
 ბრძოლა. ის ვერ შეთანხმებოდა ვერც ა. გერცენს და
 ტურგენევს, რომელნიც, მართალია, პროგრესიულ მი-
 მართულებას ადგენ, მაგრამ ისეთ მიმართულებას კი, რო-
 მელიც მალდიდან დაყურებდა ხალხს; ყველაფერი ხალ-
 ხისთვის უნდოდათ, მაგრამ არა ხალხისავე დახმარებით,
 არამედ ინტელაგენციის. ამას ვერ ურიგდებოდა ნ. ა.
 დობროლიუბოვი: მისი დევიზი იყო ყველაფერი ხალხი-
 სათვის ხალხისავე მეოხებით, და ეს ძალიან აშორებდა
 ზაპადნიკების ხსენებულ წრეს.

ის მოკლებული იყო თავის დროის ლიბერალურ



რეფორმებით გატაცებას. უმთავრეს ყურადღებას იგი აქცევდა თვით ცხოვრების და ხალხის განვითარებას. ამას მოწმობს მისი „რა არის ობლომოდშინი?“, „ზნელეთის სამეფო“ და „სვისტოკი“, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მნიშვნელობა რუსეთის ცხოვრებისთვის. ამ შესანიშნავმა კაცმა სულ ოთხი წელიწადი იმუშავა მწერლობის ასპარეზზე, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც შესამჩნევი კვალი დატოვა სამშობლო ლიტერატურაში. მისი მოღვაწეობა მრავალშრივი და მრავალფეროვანია, ის ამ მოკლე დროში შეეხო იმ დროის ცხოვრების მრავალ მხარეს და თავისებურ მწარე იუმორის და ღრმა კრიტიკის ქვეშ გაატარა ყოველივე აღებული საგანი; ხოლო ყოველთვის მისი სიმატია, მისი ცრემლ-საფრქვევი და მომავლის გამაცისკროვნებელი იყო სჯესი... და სჯესი. და ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება მისი «სარწმუნოება» — უკუაა ჯანა: სთა ბედნიერება — ჩვენ სარწმუნოებათ; კიდევ დიდხანს დაგვირდება მისებრივ საზოგადოების მოწოდება: «საქმე, საქმე! საქმე ნამდვილი, ცოცხალი პრაქტიკული საქმე»...

საუბარი სსვა-და-სსვა სსგნებზე.

(დასასრული. — იხ. № 47).

შემდეგ ამისა გაივლის სწორეთ ერთი წელიწადი და იმავე „ცისკარში“ დაიბეჭდება დ. ჭონქაძის¹⁾ „სუქამას ცისე“, რომელშიაც აშკარათ და გულ ახლილათ დამობილ იქნება ბატონ-ყმური წესწყობილება. «სურამის ციხეში» მაშინდელ მკითხველ საზოგადოებას გადაეშლება ბატონ-ყმური ურთიერთობა მთელი თვისი შემადრწუნებელი და აღმშფოთებელი მხარეებით. არც ჭონქაძემდის და არც მის შემდეგ ასე ცოცხლათ და სინამდვილით არც ერთ მწერალს აღარ დაუხატავს ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების სულის და გულის შემზარავი პირობები. დ. ჭონქაძე „სურამის ციხეში“ გვიხატავს ჩვენ ახას, რაც მის დროს ჩვენში ხდებოდა. ამ დროს ყმების ერთ ნაწილს უკვე შეგნებული ჰქონდა თავისუფლების მნიშვნელობა და ამიტომ თქვენ აღარ გაკვირს, რომ „სურამის ციხეში“ დურმიშხანი ამბობს: «სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება». იმის დასახსიათებლათ, თუ როგორი განწყობილება იყო ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენში, მოვიყვანოთ აქ «სურამის ციხიდან» ერთი მისი მომქმედი პირის, ოსმან აღის, თავგადასავალი იმ სიტყვებით, როგორც ეს თვით მოთხრობაშია.

— ბატონმა — ასე იწყებს ოსმან-ალა თავის თავგადასავალს — ჯერ წავგართო ვენახი.. მერე თითო-თითოთ ხარ-კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს, რომ გადასულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო რა გვართ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რომ დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა. — იტირებს. იტირებს და დაჩუმდებოდა, — აი აზრი რომელთამე ბატონთა.

¹⁾ დ. ჭონქაძის ცხოვრების და მოღვაწეობის განხილვა მზადდება დასაბეჭდათ. „სურამის ციხე“ დაბეჭდილია 1859 წლის «ცისკარის» უკანასკნელ ნომერში და 1860 წლის „ცისკარისავე“ პირველ ნომერში.

იმათ გონათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიუკარული და სიძულე, იმათ გონათ, რომ ჩვენ არა გვექონდას გული არ გვექონდას სჯესი». მეორე დღეს, როცა ესენი ბატონის სახლში მოიყვანეს, ოსმან-აღის დედა დააყენეს პურის მცობლათ, თვით ნოდარ (ასე უძახდნენ ოსმან-აღის გამაჰმადიანებამდე) და იმისი და — პირის მოსამსახურებათო. — ამბობენ, კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო; ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენ ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი. არ ვიცი იმიტომ ალბათ, რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით. ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდან. ვახშამზე რომ ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვლით აჩვენა ჩემზე... მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა-ჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლათ. — რათა შენი ქირიმე. — რათა? გავყიდე და იმიტომ, — იყო პასუხი. — დედა-ჩემი შებარბაცდა ცოტათ, დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყე, რომ ცივი ჰქონდა ყინულივით და უკანკალებდნენ. შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლია შეხვეწნა ღვდას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შეიღსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გავგდოთ ის კარში“. საბრალო დედა ველარ შეურიგდა შეიღების სამუდამოთ დაკარგვას და არჩია გაპარვა: იგი თავის შეიღებით დიდი გაჭირვების შემდეგ ჩამოვიდ. თფილისში. აქ მან დაირქვა სომხობა და შეიღებსაც სახელები გამოუცვალა. ამ ვაი-ვაგლახში იმათ გაატარეს რამდენიმე წელიწადი. — „ერთხელ მარიამობის მარხვაში დედა-ჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე ქართულ ეკლესიაში არ იქნებოა. მე ვთხოვე, რომ მღვდლისთვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა, რომ სინიღის ძლიერ შეეწუხებინა და ეთქო სუ ყველა. იმავე დღეს ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გავვიგდეს წინ... ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკ ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში, დიახ გუთანში! ისე, როგორც აბამენ ხარებს, ხარის უღელი დაგვადგეს კისერზე! მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა პოვა სუბუქათ... მეორე დღეს შეგვაბა კვერში, კვერზე დაჯდა თითონ და გვერეკებოდა... როგორც იყო დედა-ჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტეთ რო უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა-ჩემი უეცრათ წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედა-ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო: ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა. სახრის ქვეშ ამოუვიდა სული“. — გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. იგი ეძებდა ჩემში ერთგულეებს და დარწმუნებულეც იყო, რომ მე ვიყავი იმისი ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთგულეებას ეძებდა იმაში, ვისაც დედა მოუკლა უღელში!» ამ დროს ნოდარს შეუსრულდა 23 წელიწადი, შეუყვარდა თავისი ქალბატონის გოგო, სახელათ ნატო, და მოინდომა იმის შერთვა. მაგრამ ბატონმა არ მიცა შერთვის ნება და თითონ მოინდომა იმ გოგოს ძალით გაუბატოურება. გო-

გომ ველარ აიტანა ეს, წყალში გადავარდა და დაიხჩეა. როცა ამას გაიგებს ნოდარი, მისი მოთმინების ფიალა უკვე გავსებულია, აზიტომ იგი ველარ იტანს ამ უკანასკნელ შვევიწროებას და კლავს, როგორც ბატონს, ისე ქალბატონს შვილითურთ. შემდეგ იგი გადავარდება ოსმალეთში, ღებულობს მაჰმადის სჯულს გარეგნობით და იძენს დიდძალ ქონებას.

ეს არის ნამდვილი სურათი, ამოღებული მაშინდელი ჩვენი ცხოვრებიდან; აქ გაზვიადებული არა არის რა. ეს არის სარკე, რომელშიაც ჩვენმა მებატონებმა თავით-ფეხამდე დაინახეს თავისი თავი. თუმცა „სურამის ციხის“ ავტორს, ძველი ლეგენდის ჩართვით სურამის ციხის აშენების შესახებ, მოუნდომებია მკითხველის ყურადღება წარსულისკენ მიექცია, მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ *de te fabula narratur* — არაკი შენზე, ე. ი. თანამედროვე ცხოვრებაზეა ნათქვამი. სამწუხაროთ, ქართული მწერლობა, ზოგი უცოდინარობით და ზოგიც განზრახ, დღემდე ხელს აფარებდა ამ გარემოებას. ზოგიერთმა *la* კიტა აბაშიძის კრიტიკოსების წყალობით იმის სახელი, ვინც მართლა პირველათ ამოიღო ხმა ჩვენში დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, სრულიად დავიწყებულია და სამაგიეროთ ისეთების სახელებს აჩრინ საზოგადოებას, რომლებსაც ეს არასოდეს გულში არ გაუფლიათ. აქ არ არის ადგილი იმის გამოძიებას შევუდგეთ, თუ რათ მოხდა ეს ასე; მხოლოდ იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ დაჩაგრულია ჩვენში ქვეშაირების კვლევა-ძიების საქმე, მოვიყვანთ აქ ერთი ჩვენი ყოფილი პუბლიცისტის აზრს ხსენებულ საგანზე. ჩვენ ვამბობთ ბ-ნ გ. მაიაშვილზე. მოგვითხრობს რა ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეებზე, ბ-ნი მაიაშვილი ასე განაგრძობს: „აუტყუებელი სასტიკი ომი საუკუნეთა ნაანდერძევ კაცთა საზარცხენო ბატონ-ყმობას, რომელიც მძიმე ტვირთათ დაწოლოდა ერს. და ახლა არ იკითხავთ, ვინ ამოიღო ხმა დაჩაგრული გლეხ-კაცობის სასარგებლოთ, ან ცდილობდა აღედგინა ფეხ-ქვეშ დათრგუნვილი სახე-ლი ადამიანისა? არ იკითხავთ, ვინ მიიტანა იერიში თავად-აზნაურობისა და მის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ? — წარმოიდგინეთ, რომ იმავე ოჯახისაა, 2) გაიძახის ჩვენი ავტორი (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). იმას შემდეგ, რაც ჩვენ ზევით გამოვარკვევთ, სწორეთ არ ვიცით, რას უნდა მივაწეროთ ეს გაქიანურებული და სამ-სამ სართულიანი სიტყვები.

მოსაუბრე

† დ. ვ. ბერ-დავითიანცი.

17 ნოემბერს თფილისის სამხედრო საავიანტურაში გარდაიცვალა დავით პავლეს ძე ბერ-დავითიანცი. განსვენებული (დაიბადა 1869 წელს), ღარიბი ოჯახის შვილი იყო, სწავლა დაამთავრა სომეხთა ნერსისიან სემინარიაში და დაიწყო მასწავლებლობა, ჯერ ჯიგრაშენის და თანდოვის სამრევლო სკოლებში, შემდეგ გადავიდა აღმზრდელათ სომეხთა სასულიერო სემინარიაში. განსვენებული დავით ერთი იმ პატიოსან სომეხთა მამულიშვილთაგანი იყო, რომელნიც ხელს უწყობენ ორ მეზობელ

და ნათესავ ერთა ურთიერთობის გაუმჯობესებას და თილ-განწყობილების დაპყრებას.

ის აცნობდა თავისი თარგმანებით ქართველებს სომეხთა ლიტერატურას და ჩვენსას — სომეხებს. გადმოთარგმნა ქართულათ რაფფის „დავრიში“, „ბიბი-შარაბან“, „ხოზი-ფუშ“ და სხვ. ქართულიდან სომეხურათ გადააკეთა „დამა“, „ადვოკატთან“, „ძალათ არტისტი“, გამოცა ცალკე წიგნათ სომეხურ ენაზე გიორგი წერეთლის „ლომ-კაცი“ და სხვ. ამასთანავე თანამშრომლობდა სომეხურ და ქართულ გაზეთებში: „მშაკში“, „მურჩში“, „ალბიურ-ტარაზში“ და „კვალში“. უკანასკნელ ხანებში ჩვენი გაზეთის საწულებით აცნობდა ქართველ მკითხველთ „სომეხთა ცხოვრებას“, მაგრამ არ დაცალდა და უღმობელმა სიკვდილმა ერთი პატიოსანი მუშაკი კიდევ გამოაკლო მცირე გუნდს. განსვენებული დასაფლავეს 21 ნოემბერს ხოჯიკანკის სასაფლაოზე.

სსვა-და-სსვა ამბები.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიუბილეო გამოფენა დაიხურა 21 ნოემბერს. ექსპონენტებს ექსპონატეტების წამოღება შეუძლიათ ერთი თვის განმავლობაში. ის ნივთები, რომელთაც ამ ვადაში არ მოიკრახენ, სამეურნეო საზოგადოებას რჩება.

გახსნის დღიდან დახურვამდე გამოფენაზე ყოფილა სულ: დღით—121,299 კაცი ფასით და 5930 უფასოთ, საღამოს—10.127 ფასით და 917 უფასოთ. სულ შემოსულია კომისარიატს—30.454 მ. 5 კ. მოელოდენ კი 35-ათასზე მეტს. ნახევარი საღამოს შემოსულ ფულიდან გასართობების კომისიამ წაიღო. დეფიციტი დანამდვილებით არ არის ჯერ გამორკვეული, დაახლოვებით 25—30 ათასს მანეთამდე უნდა იქნეს.

საექიმო დეპარტამენტის განკარგულებით კბილის საექიმო კურსებზე შესვლის ნება მიეცათ ყველას, ვისაც შინაური მასწავლებლის მოწმობა აქვთ.

ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია კვირაობით ფსდაკლებული წარმოდგენები მართოს. მომავალ დღესასწაულებზე კი უნდა რამდენიმე უფასო (დღით) წარმოდგენა გამართოს.

როგორც შევიტყუეთ, ამ საზოგადოების წლიური კრება ამ თვის დამლევს მოხდება.

«Тифл. Лист.»-ს შეუტყუია, რომ გაზ. „ცნობის ფურცლის“ გამომცემელს ბ. ა. ჯაბადარს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ იგი დაამტკიცონ ამ გაზეთის დროებით რედაქტორათ, რადგან ალ. ჭყონია თავს ანებებს ხსენებული გამომცემის რედაქტორობას.

იმავე ბ. ჯაბადარს შუამდგომლობა აღუძრავს, მიეცეს ნება თფილისში ყოველდღიური რუსული გაზეთის გამომცემისა „Закавказский Курьеръ“ ჩვეულებრივი პროგრამით, თ-დ. ვ. ჩერქეზიშვილის (თფ. გამგეობის წევრი) და ა. ნიკიტინის რედაქტორობით. გაზეთს ექნება ნახატებიანი დამატება და ელირება წელიწადში 8 მან.



თფილისის პოლიცემისტერმა უბრძანა უბნის პოლიციის ბოქაულებს, რომ მათ პასპორტთან ერთად გარეშე ადგილებიდან ჩამოსულ ებრაელებს მოთხოვნონ მოწმობა, რომლითაც მათ ებრაელების სამოსახლოთ დანიშნულ ადგილების გარეშეც აქვთ ცხოვრების უფლება.

სავეტერინარო ინსტიტუტ კურს დამთავრებულთ ნება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა, თუ ლათინურ ენაში გამოცდას დაიჭერენ.

თფილისის „შრომის ბიუროს“ გამმართავი, ა. მანთაშვი, თხოვს ქალაქის თვითმართველობას თავის გამგებლობაში მიიღოს ხსენებული ბიურო.

თფილისის ქალაქის თვითმმართველობამ შეიმუშავა მომავალ წლის შემოსავლის სავარაუდო აღრიცხვა. პროექტით უნდა შემოვიდეს სულ 1.391,737 მან.; აქედან უმთავრესი შემოსავალი მოსალოდნელია: 1) უძრავ-მამულების გადასახადისა 481,689 მან., 2) სატრაქტირო გადასახადისა — 123,994 მან., 3) ცხენებზე, კამეჩებზე და ძაღლებზე დაწესებულ გადასახადისა — 38,400 მან., 4) სხვა-და-სხვა ბაჟი — 23,502 მან., 5) ქალაქის სხვა-და-სხვა მამულისა და საიჯარო — 111,745 მან., 6) ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან — 429,275 მ., 7) ბელგიის უსახლო საზოგადოებისაგან — 30,000 მან., 8) მთავრობისაგან შემწეობა და დასაბრუნებელი ხარჯი — 159,890 მან., 9) სხვა-და-სხვა წვრილი შემოსავალი — 27,242 მან. და სხვა.

ბაქოში სამრეწველო კრიზისი თან-და-თან ძლიერდება. მუშაობა ბევრგან შეწყდა; იმ ქარხნებში, სადაც ჯერ კიდევ მუშაობენ, საქმე შეამცირეს; ბევრი ფირმა სრულიად ითხოვს სამსახურიდან მსახურთა და მუშებს; ზოგიერთი ფირმა ჯამაგირის შემცირებასაც შეუდგა. მაგალითი ამ ფირმებს, „კასპის“ სიტყვით, თუმეივის ამხანაგობამ მიცა; მან 20% -ით შეაკვირა თავისი ადმინისტრაციის ჯამაგირი და 10% -ით მუშათა ქირა; მათ შემდეგ მსახურთ შეუმცირეს ჯამაგირები მირზოევისა და მანთაშვიის ფირმებში.

განზრახვა აქვთ გააუმჯობესონ უკანონო შობილთა იურიდიული მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა შეიცვლება თვით სახელი და უკანონო შობილთა ნაცვლათ „ქორწინების გარეშე დაბადებულნი“ ეწოდებათ, მიეცემათ მამის გვარი, ექნებათ მემკვიდრეობითი უფლება და სხვ.

ქიათურიდან გვწერენ: 30 ენკენისთვიდან ახალგაზდათა წრემ გახსნა საკვირაო სკოლა, სადაც ჯერ-ჯერობით 30-დე მოსწავლეა, უფრო მუშები და ნოქრები. აქვე ამ მოკლე დროში გაიმართება საექიმო საუბრები. განზრახვა აქვთ მუშებს ასწავლონ ამერიკული ეაზის დამყნა, რისთვისაც საჭირო მასალას მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თხოვენ.

არ გვეღირსა იაფ-ფასიანი სასადილო, რომლის დაარსებას ისეთი რიხით იუწყებოდა „НОВ. ОГ“ კორესპონდენტი.

რედაქციამ მიიღო კ. თავართქილაძის გამოცემული 1) კედლის კალენდარი 1902 წ. ფასი 40 კ. 2) ჯიბის კალენდარი იმავე წლისა ფასი 20 კაპ.

ადგილობრივ გუბერნატორებს გამოეცხადათ კავკასიის მთავარ-მართებლის ცარგულიაჩი, რომელიც შეესება ოსმალეთთან გადმოსასლგებელ სომხების კავკასიაში და საზოგადოთ იმპერიაში დამკვიდრებას.

1) თანახმაა ამ ცირკულიარისა 1893 წლის შემდეგ გადმოსახლებულ სომხებთან ვინც თავის ნებით ისურვებს დაბრუნებას მთავრობა დახმარებას აღმოუჩინს.

2) ვინც რუსეთში დარჩება, უნდა მიეწეროს სოფლის საზოგადოებას, თუ უკანასკნელნი მიიღებენ, ან მდ.ბალ მოქალაქეთა საზოგადოებას. ვინც შიდა გუბერნიებში მოსახლეობას მოისურვებს იმას მიეცემა შეღავათიანი ტარიფი.

3) ყველა რუსეთში დარჩენის მსურველებმა ახლავყ უნდა მიიღონ რუსეთის ქვეშევრდომობა, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დატოვონ იმპერიის საზღვრები.

4) 1903 წლიდან გადმოსახლებულ სომხებს გადანდებათ სამხედრო პევარი.

5) მიწის საკუთრების შექენის ნება კავკასიაში დასახლებულ სომხებს მიეცემა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისა.

6) როცა მომავალში გლეხების მიწის მფლობელობის განწყობების განხორციელებას შეუდგება მთავრობა, სომხებს წილი (ნა. დელი) არ დაეუბათ.

7) ამ წესებს ექვემდებარებიან ისინი ვინც კავკასიაში 1901 წ. 1 თებერვლამდე ჩამოსულან, შემდეგ მოსულნი კი იმპერიიდან გაიღვენებიან.

სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის დებულების მე-15 მუხლის თანახმად, კავკასიის მთავარ-მართებელმა 15 ნოემბერს გამოცა შემდეგი საეაღდებულო დადგენილება ქალაქ თფილისისათვის: მუხლი პირველი. ავადებს სასტუმროს პატრონებს (12 საათის განმავლობაში), სასლის პატრონთ და მათ მოურავებს (24 საათ.) და ბიის დაქიჩაკვებებს (18 საათ.) აცნობონ ადგილობრივ უბნის პოლიციას მათ სასლში მოსვლელ-წამსვლელთა ეიხაობა და შეადგინონ მდგმერთა ჩასაწერი წიხები.

მუხლი მე-2. სასლის ან სხვა უძრავ ქონების პატრონები ან მათი მოურავები ვადდებულის აჩიან აცნობონ პოლიციას ადგილობრივ უბნის მმართველობას: ა) ყოველი საგანგებო შემთხვევა, ბ) ყოველი საეკვო ყრილობა სასლში, გ) გადაძლებ სუბის განება ადამიანზე ან პირუტყვზე, დ) ვისძე გარდაცვალება სასლში, ე) ჩხუბის და ყოველგვარი დარღვევა წესიერებისა და მშვიდობიანობისა, ვ) ცნობები იმ ქონების შესახებ, რომელიც დარჩა გარდაცვალებულს, გაქცეულს ან დაკარგულს მდგმურს და ზ) ცნობები მათსოვართა შესახებ,

სასლის პატრონები ან მათი მოურავები და სასტუმროს პატრონები ვადდებულის აჩიან თვალ-ყური ადგენონ, რომ მათი სასლებში არ იყოს საიდუმლო სტამბა, არ იხანებოდეს ასაფეთქებელი მასალა და არ იყოს მთავრობის საწინააღმდეგო გამტყმათა საწუობი. მიწის მემქობა-გათხრა უზოებში, სასლის პატრონის დაუეთსავათ ავრძალულ უნდა იქნას.

მუხლი მე-3. საკადებულ და დეკინილებათა ასასწრელებლათ სასლის პატრონები ან სხვა უძრავ მამულების პატრონები ვადდებულის აჩიან იყოლიონ ბეჭდები:

მტრე მამულის მემპატრონეთ შეუძლიათ შეერთდენ და

იყოლიონ ერთი მეზობე, სულ მცირე შექმნეთ გი თვით იკა-
სრონ ეს მოვალეობა, ზოლიცმეისტრის ნებართვით.

მუხლი მე-4. მეზობე და შვიდრები ვადაბე ულნი ანი-
ან დაესძარონ ზოლიცმეისტრის და სხვის სავტრონთ წესიერების
დაცვაში და ზემოსსნებულ ცნებების შეკრებაში, აღასრულონ
ყოველგვარი მოთხოვნადაცა ზოლიცმეისტრისა.

მეზობეთა დათხოვის ნება აქვს ზოლიცმეისტრს.

მუხლი მე-5. აწესებს მეზობეთა მორიგობის ქუჩაში,
რომელიც უნდა შემოიღონ სხვის სავტრონებში. მორიგობის
დროს მეზობე თავისუფალი უნდა იყოს ყოველი სხვა მოვალე-
ობისაგან. მორიგე მეზობე ვადაბე ულნი დაესძარონ ყოველ
გერძო შიკს, რომელიც შეეღას ითხოვს. დაწერილებითი წეს-
ებს შემეშავებენ გუბერნატორები და ზოლიცმეისტრები.

მუხლი მე-6. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას არ
ასრულებს ადმინისტრაციული წესით დაისჯება: ჯარიმა 500
მანეთამდე ან 3 თვემდე დაზარტობა. სასჯელთა დადება ევა-
ლება გუბერნატორს.

მუხლი მე-7. ეს დადგენილებანი ძალაში შედიან 1902
წლის 15 იანვრიდან.

რუსეთის ცსოვრება.

„ნიუ. ლისტ.“-ში დაბეჭდილია მასიმ გორკის წერი-
ლი, რომელიც ღვინის მონოპოლიას და მის მნიშვნელობას
ესება. ეს წერილი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ
რუსეთის ქალაქებში დიდძალი ღარიბი ხალხი (ბოსიაკები)
აფარებდა თავს ზამთარში არყის სავაჭროებს და ღვინის მონ-
ოპოლიას დიდგანსაცდელში ჩაუვლია ისინი. იქამდე გაჭირვებულ-
ნი არიან, რომ საშურობილებაში ჯდომაც ბედნიერებათ მიანნი-
ათ და იღებენ ამგვარ ქერდობას, იქნებ დაგვიჭირონ და სში-
რათ თვითონაც აჭკრიბებენ თავიანთ თავს..

ამ მოკლეხანა ერთი მუტი საინტერესო ცდა გამოუწვევია.
ერთ ვაჭარს განუზრახავს ბოსიაკებს დასძარბოს საჭმის ისე
მოწყობა, რომ მას არავითარი ქველმოქმედური სახითი არ
ეჭნეს. ის აწყობს ტრაქტორს, სარც იაფ ფასათ მიეცემათ და-
რბებს ჩაი, სადილი და ღვინის გასათევი ბინა. აქვე იქნება
სამკითხველ-ბიბლიოთეკა, გაიმართება კითხვები და სხვ. გარ-
და სასმელ საჭმელისა ფული გადასდებათ მხოლოდ ღვინის
გათევაში, ისე გი ნება ექნებათ რამდენსაც უნდათ დაუონ
სახლში, სოლო სამაგიეროთ უნდა მოესძარონ მის დაწმენდ-
დალაგებაში. იქნება ოთახებიც, თითოში ოთხი საწოლი, ღირე-
ბული თვეში თითო მანათათ. ყველასე უფრო საინტერესო ეს სა-
ხლა მით იქნება, რომ ამ ბოსიაკებს თვათმართველობისუ-
რი წეს-წყობილება ექნება და საინტერესოა, რამდენათ შეეუ-
ბიან წესიერებას ეს თავისუფლების და დამოუკიდებლობის
მოყვარული ბოსიაკები და თან რამდენათ გამართლება გო-
მერტიული ანგარიში.

— ზოგიერთი განხეთების სიტუაით აღძრულია გითხვა შე-
სახებ გუბერნიების რეფორმებისა, ეს საკითხი უკვე იყო და-
ყენებული 1898 წ.

წინეთ ფიქრობდენ, რეფორმები მოესდინათ სავტროთ
ყველა გუბერნიებში, მაგრამ სახელმწიფო რჩევამ გი დაინახა
შესაძლოთ რეფორმების განხორციელება მხოლოდ შიდა გუ-
ბერნიებში, რადგანაც ზოლიცმეისტრის დაწესებული განსაკუთრე-
ბული მართველობა ადგილობრივი მიზნებისა გამე და აგ-
რეთვე ვაჭარისაში და იმიერ კასპიისის მხარეში განსაკუთრებუ-
ლი მართველობა მოქალაქეობრივობის სისუსტის გამო ამ მხა-

რეებსა, არ შეიცვლება. ამისგან რეფორმა შეეხება მხოლოდ
შიდა გუბერნიებს.

— ამ მოკლე დროში განათლების სამინისტრო განისი-
ლავს წინადადებას სასოფლო შოკლებთან წიგნების გაყიდვის
შესახებ.

— გზათ სამინისტროს საჭიროთ დაუნახავს შირველი
დასძარბების გასაწევით განსაკუთრებული შრომების შემეშავე-
ბა. ამ მიზნათ შედგა განსაკუთრებული კომისია, რომლის
აზრით საჭიროა შემდეგი ზომები: 1) სადგურებზე, სასოფლო-
სნობაში იქონიონ მოძრავი აფთიაქი, 2) ყოველ საექიმო უბან-
ში იქონიონ საექიმო ვაგონი, 3) ყოველ სადგურზე, სადაც
გი მეშება ბლომთაა, ექიმთა გარდა იყოლიონ ისეთი შირე-
ბი, რომელნიც გამოაცხადებენ დასძარბების სურვილს, 4) მო-
წყონ რეინის გზებზე უფასო გერსები ყველა იმთთვიის, ვინც
მოისურვებს შირველი დასძარბების შესწავლას.

— რუსეთის ზოგიერთ რეინის გზებზე შემოუღიათ სა-
სოფლო ვაგონები. ეს ვაგონები ჩამოიგლიან სადგურებს, შე-
კრებენ ამ ადგილებში მოსამსახურეთა შეილებს, მერე ერთ
რომელიმე ადგილს განკრებინან და აქ განადგება სწავლა.

— საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ
გარკვე შირებს ნება ეძლევათ დაჭირონ საქალაქო სასწავლე-
ბლების განათავებელი ეგზამენი.

— დაბალ სატენიერო სასწავლებლებში შესასვლელათ და-
ნიშნულია უმაღლეს წლოვანებათ 17 წელიწადი.

ს ა ს ლ ვ ა რ ვ ა რ ე თ .

იხვლისი. ამას წინეთ კვამბ. მანკმანმა წარმოას-
თქვა სიტუა ქ. მატეში და განისხნა რა ინგლისის
მოქმედება ტრანსკავლში დასძინა, რომ მთავრობის თავის მა-
რთლება ბურებთან უსინდისო ომის გამო უფრო საზიზღა-
რია, იმ სისასტიკეზე, რომელსაც იხენ ჩვენი ჯარი ბურებ-
თანო. ძალან ვარცა ბეობა იმის შესახებ თუ როგორ მძარ-
თველობას მიკანტებთ ბურებს ომის გათავების შემდეგ, მაგ-
რამ ნუ თუ ჩვენ მთავრობასა გონია, რომ ის ხალხი, რომ-
ელსაც ჩვენ აუფორსეთ მიშელი, დავუტანვეთ ცოლშეილი და
ვადვრევენთ სისხლთან ერთათ ცრემლიც, დაივწყებს ყველა
ამას და ვადიქცევა ინგლისის მოყვარულ ქვეშევრდომთ? განა
ჩვენ თათონ არ მოკუვიდეთ ცრესლა იმ შინობას, რომელშიაც
ესლა დასასლებას ვამიბებთ! ყველას ჩვენ თავი მოგვწონს ჩვე-
ნი სამშობლოთი, ჩვენა დიდებული ინგლისის სასკლით,
ჩვენ მშათა ვართ დავიცვათ ის, მისი ინტერესები, გაკავარ-
თოვოთ იგი, მაგრამ არა მგონია მას სარგებლობა მოუტა-
ნონ თვისი მოქმედებით იმ ბაქია აფერისტებმა, რომელთა ინ-
ტერესისათვის იბრძვის დღეს ინგლისი და ფიქვემ თელავს
თვის მეზობლების უფლებას. მე არ ვეუთენი თახამდროვე
ინგლისელებს, მე ძველი ინგლისელი ვარ და მომსრე იმ წეს-
რიგანობისა, რომელსაც მისდევდა ძველი ინგლისი, მე მომ-
სრე ვარ ძველი ვახონებისა, რომელნიც იცავდენ სიძარტლეს
და თავისუფლებას. მე არ ვარ ვარ თავუანის ძველი იმ გაბე-
ლი თავმოყვარეობისა, რომელიც მოახვია თავზე ინგლისის
ერს ახალმა წესრიგმა. ჩვენი დიპლომატების სავტროის სურვი-
ლია, რომ ჩვენი სამშობლო იყოს მძღავრი, მაგრამ მისი გა-
მძღავრება არ უნდა მდგომარეობდეს სხვათა ადგილმამულის
წართმევაში და უანგარიშოთ ძალიონების გაფლახვაში».

— შინაგან საქმეთა მინისტრმა კროილონი ილა-
ხარავა: სოლსბურის ჭილდჭოლში არ უთქვამს, რომ ბუ-



რებს არავითარ დამატებებზე დასაყრდენს არ მივცემთ. სოფლებში მხოლოდ ისა თქვა, რომ ბურების რესპუბლიკებს ვერ მივცემთ ისეთ დამოუკიდებლობას, როგორც წინათ ჰქონდათ. ინგლისის მთავრობას არ შეუძლიან ისე ის შირობები დაუდონ ბურებს, რომლებიც ბურებსა წინათ უარ-ჰყუას, მაგრამ თუ რომელიმე გუბერალი, როგორც შუამარი ბურების წარმომადგებელი, წინეთ უარყოფილ შირობებს წარმოგიდგინს და გაძიანდავებს, რომ ბურები თვით-მმართველობას ვერდებიან, მაშინ ინგლისის მთავრობა დათანხმდება იმ შირობებს და ბურებსას 'ხაკს' შეეზღოს. თუ ეს მთელი განხილვისას არაა, მკლათ სასიამოვნოა, რადგან მონაღობილია ძალე მოკლები ბოლო ამ უთანხმოების და სრულიათ უდასამაულო აღაშინების უკლებლობისა.

საზარბაზნო. ჩხეთის ოქმს უკვალ დიდი სასულიერო რეზოლუციები დიდ ხარჯში შეიკვან და მათ მორის საფრანგეთიც, რომელსაც ეს გაშინია 100 მილიონ ფრანკათ დაჯდომია. მართალია, უზანსახელი სულქმურლობით ჩხეთი ვალდებული გასდა ვეკვალ სასულიეროებს უხლას 'ხარალი და საფრანგეთიც მთელი დასაბრკობი შინ ძალიან ფრანკა', მაგრამ მონღებილი ხარჯს დამტვირთვა და დაფარვა უტარებდა. ამისთვის საძიხისტროს წინადადება იყო, რომელსაც გამოძინად დაუთანხმდა, აქლათ 3% სესხათ 265 მილ. ამ უკულით უხლდა აქლდებისათ ვერძო შირთა და სახოგადობათა 'ხარალი, რომელიც მათ ჩხეთის არეულობის გაძო შექმთსათ. და სწორით ამ გითხვამი დამორდა საძიხისტრო და ძინი უძრავუნობის ერთი შირტი. ვალდებუქსლას ხარით მთავრობას უხლდა მთელი თავის თაგზე რეკომენდირი ძინსიობას და ფინანსირი სახოგადობათა 'ხარლის აქლდებაც. ამის წინადადება იყუბ საბიუჯეტო გამოძინა და უგიდურსი შეძარცხუნი. მათი ხარით ამ ორგანიზაციებმა თვით უხლდა ეძინობ თავისი 'ხარალი, მთავრობამ არც კა აღნ რა 'ხარალი მოუკვდათ ძინსიობს და სესხის დაუვანა უხდლათ 210 მილიონად. ამ გითხვამ ძინა შექმთსევა ვალდებუქსლას გამკუთქვა თავისი ხარით გათლდებუთა ძინსიობას შესახებ და თქვა, რომ ის სულ სხვა თვლით უყურებს ამ ძინსიობის ძინსიულობას სახელგარკოთ, ვიდრე თვით საფრანგეთში. ამ ძინსიობის დიდი ღვაქლი ძინსიობის საფრანგეთის სასულიერო გამკუთქვამი და სხვა ძინსიობა ამ გითხვამი განხილვის ხამონდებლს სოციალისტების, მაგრამ მთავრად დაუტაროს ომონოტიუმიბრძოლა და საძიხისტრომ თავისი გაატანა. ამ დადებებილით ოგორც იტალიადან იქუბინახ, ძალიან ვამოუგალი დათა ვატივინი (შინი). ვალდებულ რამოლას უთქვამს, მუ გიტლდი რა ხარის იყო საძიხისტრო გათლდებუთა შესახებ და ძალიან ვამოუგალი ვარ, რომ საფრანგეთისათ ვეკვალ-განყოფინდება არ ქვეყნათუთ გონტრევიცის შესახებ განხილას დამტვირთვას შექლეს.

ბმონიში. გერმანიის მთავრობის ერთი საგონებელი ვიდრე გაუხდა. დასაქლეთ მოქსინაძე დიდი ძალი ხალს დაჩხინდა საბუძის მოკლებლად. ბეკინსის მოქმედებით საბუძის, მაგრამ შინ ათას სე მკლთ გინა ვაქმე უსაფრთხ აჩინს. ეს უსაფრთხი, რასაკვირებელია, გამოქმედდა სახოგადო ფინანსსიური ვინისით.

ბმონში. საღმთი სავების შესახებ განხილვები შეწყვეტილი უნდა ვარდებინა ვალდებულს და ოგორც 21 ხოქმობის დაქმდა გერმანიის იმეკობის განტლები განხილვა, რომ ამ მოქმედობით საგონათ აქვთ უმინებელსათ უოკლინა მკლი მთავრობობა აქლდებინახ სასულიერო მოქმედობის იმდესათ, რამდენივესაც ეს სახოგადო მოქმედობის არ ქინადადებუმა. მოკ-

ქმის საგონათ აქვთ თვინდან აქლილას მრეველობას შემაფრებელი ნაკლულებინახი, რაც ესლანდელთა ტარინება აღმაჩინა. დასასრულ, ტარინის განხილვები-შროქტი საუკეთესო იარაღს ვამდევს სხვობის საგონათ სულქმურლობათა შესახებ მოლაშარებებში. ამ ვკრათ, განხილვები-შროქტი სრულიათ არ ქინადადებუმა სასულიერო სულქმურლებათა შოლიტივას. გერმანიის სასულიეროთა მმართველობისა მოძაქლდებლ მკვირვთ დაინახეს ამ შოლიტივას გერმანიის უფლებათა მთავრობის ქვეშ იმ დრომდე, სხინა გერმანიის საღმთის არსებით ისტორების არ ქინადადებუმა. დასასრულ ორატორმა ძინსიობათა ვინსიტაც და თქვა: «შროქტი ვინივრეკლათ შესდეთ და დარქმუბით, რომ თქვენი სქმე მკვირვლათ განსაქლეთ ისე, როგორც ამის მოთხროს ვრეკლუთი თამომეკრება და ძინსიობათა ხე დაინვივობთ, რომ ხვეს მხოლოდ ძინსიობა შეკვირვლის სხვა საღმთის წინადადება ძლიერებით აქლდებუნი ვამოვიდეთ, თუ შალატის სიტუქსას და ვარდაქმეკვლობა ძინსიობა ვატარებელი იქება ახორი საერთო ვეათლდებუნი, ხარ ეთრეკლ ძინსიობათა» (აქლილდელი მოქმედება). ფინანსთა ძინსიტრი, ტილძინი, აქვს სასულიერო ტესხეკო მინსიტრი. ტარინის განხილვა ცალ-ცალკე ვამოუგალიათ ვამდებუნი შალატის სულქმურლებათა განსილვას. ძინსიობა დარქმუბილია, რომ ვეკლეთის და სხვა სასულიერობისათ სულქმურება დადებელი იქება ძინსიობათ იმინა, რომ ვერს ბაჟი იქება. ვინსიტრომ ვინსიტრომ ვამდებუნი მოქმედება შროქტის და-ახორი და უმინებელსათ განტლებინ სიტუქსამის აღმაშინა, რომ გერმანიის სასულიერო-მოქმედობის მკვირვლად ხალსსიტვის საგონათ ვერძო მოქმედებას. ორატორი თავის მარტივის ძინსიობათ თხილდებინ ვერხე ბაჟის მოძიტივას, რადგან ხე უამინათ შროქტის დამტვირთვა მკვირვლილია.

— რინსიტრი მოქმედა 3/2 მილიონ ვალდებულს სულქმურდელი თხილვა ვერხე ბაჟის სე მოქმედებათ.

ბმონში-მონიში. ვესტონის ვალდებულს ისე ისეთ უმინებლობათა ნაკლულები, როგორც წინა ვლდებ და ათას ძინსიტრი უმინებლობათა ხეკობა და ვეკვამეკვლობა ნამოკლდელი ვოქმეკლი განსილვებია. დევს იმეკობათ დამქმეკვივლია, რომ ამ ვალდებულს მოქმედება და საქმის წინსიობათ ვამდებუნი მკვირვლებელია, მაგრამ ათას სასულიეროთა სატილოთ არხეკვინის და თვით სასულიეროს ძინსიობა ვეკვამეკვივლის მკვირვლა და არა ვალდებულს ვეკვამეკვივლებს ძილასვა, როგორც ეს ვინსიტრობის მოქმედება. სასულიეროთა ვამდებუნი ვამდებუნი იაკიუვა შოლიტივამ.

იმეკობათ ვეკვამეკვივლებს ძილდობ-ჩინებინს მკლავრ ქე-როქლდელს ვინსიობა ძილდობათა და «თილდობის ღმინის თქმით იმეკობათ მკლათ მონსინსიობათ ვალდებულს თქმე მას.

„იმეკობათ ვეკვამეკვივლებს ძილდობ-ჩინებინს მკლავრ ქე-როქლდელს ვინსიობა ძილდობათა და «თილდობის ღმინის თქმით იმეკობათ მკლათ მონსინსიობათ ვალდებულს თქმე მას. „იმეკობათ ვეკვამეკვივლებს ძილდობ-ჩინებინს მკლავრ ქე-როქლდელს ვინსიობა ძილდობათა და «თილდობის ღმინის თქმით იმეკობათ მკლათ მონსინსიობათ ვალდებულს თქმე მას.

მშობ. იმონი. ამ ოგორც საიუმა სძინათ დაშარებობდებს, ვითომ ვინსიტლებს საბოლოოთ უხდლათ საიუმათათს მკლათ და დიდი სასულიერობათ ძინსიობა დაქმეკვივლია. ანდა ვამოვიკვამ, რომ ვეკვამეკვივლით ვამონსიობას, საიუმათათს ბატონიძილდს გიოკონს, ძინსიობათ მკლათ დაძმეკვირვლობის მომეკვივა სეკლ და ამ მოქმედება ხახი სასულიერ-

ფოთს წარმადგენლები განიხილვეს კიდევ ამის შესახებ კითხვებს. კრიტიკებს უნდა: თ თავისი ფული ქონდეთ და სკუთარა ზარბაზნა. აგრეთვე უნდა: თ ზოგიერთი საადმინისტრაციო საქმეების გამოკვლავა ჩამოატყდონ ოსმალეთის მთავრობას.

ბატონიშვილ გიორგის თანხმობა განუცხადებია კიდევ სამი წლით კრიტიკის მმართველთა დაჩქარება.

სამსრეთ-აფრიკაში. ინგლისის მთავრობა განაგრძობს სამსრეთ-აფრიკაში განსაკუთრებული წესების შემოღებას.

აფრიკისა და ინდოეთის მთავრობის თანხმობით, 1902 წ. 1 იანვრის შემდეგ წერილობითი ნება და ურთველთ არავის ექნება უფლებას კაპის კოლონიასა ან ნატალში შევიდეს. შევიდის ნება ართვის მისაღებათ საჭიროა, სსკეთა შორის, მოწმობა, რომ მოგზაურს აქვს არა ნაკლებ ასი გირვანჯა სტრენდინგისა, ან შეუძლიან თავის-თავის შენახვა და ამის მოგზაურობას არავითარი მტრობა არა აქვს ინგლისისა უცხო სასულწი ფოთს ქვეყნდრომთ მოწმობა მაგნიტათ ლონდონში ან თვინთ სსსულწი ფოთში. ეს მოწმობა მოგზაურს აძლევს უფლებას სამსრეთ-აფრიკის კიდევ ჩამოატყეს, სოლო შემდეგ მოგზაურობის ნება კი არ აქვს.

ლიდის უთქვამს: „სამსრეთ-აფრიკის ომი, შეიძლება, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. მეომარ ბურებს ყველაფერი დაეკარგათ და ამიტომ აღარაფერია: რეკონსტრუქციის იარაღს არას დროს არ დაურბან. რამდენათ ინგლისელები სსსტიკათ და უდიდრათ იქნებიან, ბურებიც იმდენათ მაგრდებიან და უფრო მეტრათ იბრძვიან თავიანთ მტრების წინააღმდეგ. ლიდისის აზრით ზავის ჩამოგდება ინგლისელების სულშია, მაგრამ ბურები არას დროს არ დათანხმდებიან ზავს, თუ სრული დამორჩილებლობა არ მიცენ.“

კორესპონდენციები.

მ. სიღნაღი. ძლიერ რის ვაი გავლანით გაათავის, ქ. სიღნაღის მამასახლისის თანაშემწის ამოჩვენება. ღვინობისთვის 30-ში მოხდა სიღნაღის საბჭოს საგანგებო კრება. რამდენიმე საქმის განჩივის შემდეგ მამასახლისის თანაშემწე იაჩხიეს. კრებას დაესწრო 13 სსლისანი. ბარათებით დასასული 6 კაცი. ყუთი დაუდგეს ორს, ნ. ტურ-მათეუზოვი და ვ. ავაქოვი. პირველს ამოუვიდა 7 თუთი და 6 შ. მკორესი თ. და 6 შავი. ამოჩვენულ იქნა ტურ-მათეუზოვი, რომლისაგანაც დიდ საქმის მოუვარეობას მოკლავს და ამიტომ ბევრს იამა მისი აჩხივა. აქ უნდა შევიშნოთ ჩვენ სმონებს რომ, ვერ საქმიანობენ ისე, როგორც მათგან მოკვლადათ და უფრო ერთმანეთში ვინვლავობენ. ქალაქს კი დიდათა ჭიარია მოსაქმე და ენერგიით სავსე კაცი. დღეს საუხსობო აქეთ მოთავსებული შავკრდოვებისაგან საქმეებზე ადგილზე. პირველათ ქირა იყო 20 მან. მეტე 40 მ. გასაღეს. შემდეგ 60 მან. ამით წითამდე უფლმა მკვერდოვებმა ახლა (30 ღვინობისთვის კრებაზე) მოთხოვეს სმონებს ქირის მომატება 80 მ. მეტე რა ადგილია იცით? ეს საუხსობო რომ მოხალონ, მაშინ რვა თუმანს კი არა რვა შავს არავინ მიცემს. ახლაც გაიტანდენ თავისას, რომ სმონასს ს. ი. სარქისოვის არ გამოელო თავი. მან თქვა: ბატონებო, რა არის მკვერდოვის ადგილი ისეთი, რომ ამდენ ქირას ადებს? ნეტავი გზა მანდა ქონდეს გასაკვლედი, საცოდავი უსახები მუხლამდი ლაფში ეფლობიან და სანსკვროთ განგულელი სორცა გამოაქეთ. აკერ დ. ვარუშოვი კიდევ ისევება და ორი მაგდენა ადგილია; რვა თუმანთ სულ გვაძლევს,

ვიელოთ და სამუდამოთ გვექნება. ამომჩიეს კომისიის ს. ი. სარქისოვი, ა. ვ. ზურბივი, და ტ. ი. სურბივიკოვი და მათ მანდავეს შეაუიღონ საუხსობოს. ეს პირველი ნაბიჯია ახალი სმონების ქალაქის სასარგებლოთ შრომაში. ორიადე სმონანი იბრტობდა, რატო მე არ ამომჩიეთო. ერთმა სმონანმა კიდევ დაუყინა გინდათ თუ არა მე მომანდეთ საქმეები სასამართლოში საწარმოებლათო, 144 საქალაქო მამული აქეთ მასაკურობული გერო პირებს, და ამ მამულებს სულ გამოვიტანთ. თქვენი არა მინდაცა, სულ მექათ ვივლი «სურდებში და პალატებში» ოღონდ თქვენი ღვთის გულისათვის «სურდებში იხდურეკება და ზაგუდენიუ დელასა» სულ ჩემა იუოსო. ერთი სიტყვით, რომ ვთქვა ჩვენს სმონებს აზრის შეჯახება საქმიანობა არ ემცნებათ.

დამსწრე.

დ. სუჯუნა (სამეგრელო). რამდენიმე ათი წლის წინათ სუჯუნა მოხდილი დაბა იყო, მან მას შემდეგ, რაც სადგური აბაში გაკეთდა, რკინის გზის მიმზადებლობითა ძალიან თავისკენ მიიზიდა მცხოვრებთა უმეტესი წილი, განსაკუთრებით ვაჭრები, და დღეს სუჯუნა მომავლადეს გავს, მარა დიდებულ მომავლადეს. მცხოვრებთა ემავლესობა ებრაელებია, რომელთაც დღეს მჭიდრო კავშირი აქეთ ეკვლას ურბათა საზოგადოებთან. არ შეიძლება ამ ორ რელიგიურ ელემენტთა შორის (ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის) პატარა განსეთქილება არ არსებობდეს. ეს განსეთქილება, რელიგიურ ბურესზე აშენებულია, ძლიერდება მათი კლასიური ინტერესების შეგავლენითაც. და აი, რომ ეს მოწინააღმდეგე ნაწილები შეერთებანთ, წელს რამდენიმე პირის მეცადინეობით დაბამ დაახსნა ებრაელთა და ქრისტიანთა ორკლასიანია ნორმალური სკოლა. სკოლის გუბერატორს მოხდა 14 ნოემბერს. ამ დღეს სუჯუნაში შეგროვდა მოხდილი საზოგადოება: ებრაელთა და მართმადიდებელთა წარმომადგენლები, ათამდე მასწავლებლები, სასულიერო წოდება და სსხ. მოკლდა აგრეთვე საერო სკოლებას ინსპექტორა ბ. სუდაკოვი. მაგრამ, რადგან ცარიელი სიტყვა ვერაფერი ნუგეში იყო, მასწავლებლებიც გაუდგენ შინასაკენ. ამ გვარათ დიდი ზარათა და ზემოთ განსნილი სუჯუნის „შემაერთებელი“ სკოლა დაჩნა მხოლოთ ქალაქდზე და იქ განისვენებს ჟურჯურობით.

სუჯუნაში ბიბლიოთეკაც არის: მთლის რამდენიმე გასეთი, მარა ეს გასეთები მოხვლასთანავე სასლში მიაქვს ბატონ დეკანოზს და საშვილსკელო პარდალებული რჩება.

სუჯუნადან აბაშამდი ოთხ ვერსზე ნაკლებია, შენაიმი მიმოხვლას, მაგრამ წარმოადგინეთ, ფოტოსაც კი არავის მოაქვს სუჯუნაში. ერთმა მასწავლებელმა გვითხრა: ერთი ვიჩნა ჩემა წერილი აბაშაში და ჟურ მოტანას ვერ ვეღარსკო (?!).
მო-ნი.

წერილი მუთაისიდან.

(დასასრული. — იხ. № 47).

კრებაზე გაცხარებული და ხანგრძლივი (მთელი 1 1/2 საათი მოანდომეს) ლპარაკი გამოიწვია ხმოხნის ს. ბოკერიას და ეზიკოვის თხოვნებმა ახლათ დაარსებულ «პურის მცხობელ ამხანაგობის» საწინააღმდეგოთ. საქმე ასე ყოფილია: ახლათ დაარსებულ და ჯერ მოქმედება გაუმაართავ „პურის მცხობ. ამხ.“ წარმომადგენელს ი. პურადოვს დაუქირავებია პირობით ქალაქის შენობა თფილისის ქუჩაზე სობოროს მახლობლიათ, სადაც დაუწყია



საუბრე ფეხის კეთება. აქვე ამ ფურნის პირდაპირ ს. ბოკერის და ეზიკოვა ორ სართულანი ვასაქირავებელი სახლი აქვთ, რომლებსათვისაც ფურნის ფეხის კომლი ძლიერ მავნებელი იქნება. კომლის ქუთაისის აღმოსავლეთის ქარი იმათ სახლისკენ წამოიღებს, ფასადს გაუშავებს და ფანჯარა და კარებში შესული მდგმურებს აღარ დაგვიყენებსო. ამისათვისა, თხოულობენ ისინი თავიანთ თხოვნებში, ნუ მიცემთ „ამხანაგობას“ შუაგულ ქალქში ფურნის გაღების ნებასო.

ამ ახირებულ სახლის მეპატრონეებს გარდა იმისა, რომ გაზვიადებული და ლამაზათ დაწერილი თხოვნების გამოყენებით თან გამოყულობენათ უკან თავიანთ ნამჭევრმეტყველების დასაცველათ, აქა-იქ ხმოსნებშიაც გამოუჩნდნენ იმათი ვითომ შელახული ინტერესების მოსარჩლეები და ამტკიცებდნენ ეს „ამხანაგობის“ ფურნე დიდი საფაბრიკო დაწესებულება იქნება და, როგორც ასეთი, მეტათ მავნებელი იქნება მცხოვრებლებისათვის მისი შუაგულ ქალაქში დატოვება; მაგის ადგილი ქალაქ გარეთ არისო და მისით. საქმე ისე გააზვიადეს უბრალო ყინიანობით, რომ გარეშე მაყურებელს ეგონებოდა ეს რაღაც უზარმაზარი სამრეწველო დაწესებულება გვიარსდება ცხვირწინ და ახლავითავს უნდა უშველოთო. ის კი არა თუ მაგვარი და კიდე უფრო ფართო ნიადაგზე აღმოცენებული პურის საცობები ფილიპოვისა მოსკოვში, ანდრეევს- და კიდე ფილიპოვის პეტერბურგში და სხ. მისთ. ამ ქალაქების თვით უპირველეს ქუჩებზე ნევსკი პროსპექტზე და ტვერის ქუჩაზე არიან გამოქვილნი და იქაურ არისტოკრატ ბურჟუას აზრათაც არ მოხვლიათ ამ კერძო კაცების სამრეწველო დაწესებულებების ქალაქ გარეთ განდევნა. ქუთათური მესაკუთრე კი გაკვირვებულნი თვისი წითელ ფასადიან სახლით მეზობლის კომლსაც აღარ აკარებს თვის სასახლეს! და ან კი ქუთაისის «ამხან.» რას შექნის ისეთს, რომ მას საფაბრიკო კანონების შესრულება ვთხოვოთ და თვისი ჩვეულებრივი საფურნე ფეხის მიხეზით იგი ქალაქ გარეთ გავატანიოთ, რაც მას, უეჭველია, ზარალის მეტს არას მიცემს. თუ კი ამავე ხმოსნებს და «მოღვაწეებს» გუშინ წინ ცხვირწინ უფრო სახიფათო სააბრეშუმო ქარხანა ედგათ და მისი კომლი და სუნი არ ახრჩობდათ, — დღეს რაღა ერთი ფურნის კომლი დაახრჩობს ვისმე და მდგმურებს გადურეკავს!! თითქოს დ ნარჩენი ქუთათური მეფურნეები ჰაერის სივრცეში აცხობდნენ პურს და იქიდან «ციურ მანანასავით» უგზავნიდნენ მცხოვრებლებს?

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ერთი ამ ახირებული მთხოვნელების მოსარჩლეთაგანი ისე გაიტაცა მათი ინტერესების დამცველობამ, რომ თავი სასამართლოს დარბაზში წარმოიდგინა მოსამართლეების წინ და შემდეგი ფრაზებით შეაზავა თავისი «რეჩი»: „примите еще в виду г.г. судьи“... და მაშინვე საბოდიშო სიტყვები მიაყოლა: «я привыкъ обращаться къ судьямъ»-ო, რაშიაც კარგათ გამოსკვივოდა ამ და ამის გვარი ხმოსნების საზოგადო დაწესებულებაში — საბჭოში — საქმიანობა.

მარა ეს და ამგვარ საქმეებზე დავიდარაბის ატეხა ხომ პირველი და უკანასკნელი არაა აქ. ქუთათური „მოღვაწე“ მაშ რის მოღვაწეა, თუ ყოველ ახლათ დაწყებული საქმეს ჩხირკედლობა არ დაუწყო, საჩივარი არ

აუტეხა და უკეთურობის ტაფაზე არ მოხრავა, თუნდაც მარტო უბრალო თავისი ყინიანობის დასაკმაყოფილებლათ!.. მარა ამასთან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ხმოსნების „срочнось“-ობა გვაკვირვებს: აქაო და ჩვენ ამ „ამხანაგობის“ წვერები ვართ და ამ საქმეზე მსჯელობა არ შეგვიძლია, მის ასე თუ ისე გადაწყვეტაში ჩვენ მონაწილეობა არ უნდა მივიღოთო! განა ამგვარ შემთხვევებში დავალვა, უხმაობა ექვირება ისეთ საქირო და უპირველეს მოთხოვნელების დამაკმაყოფილებელ საქმის ხელის შეწყობას, ყოველგვარ ხიფათის თავიდან მაშორებას და ამ თავიდანვე მის ფეხზე დაყენებას, აღორქანებას?! ვაი რომ ეს „гласность“-ობა ჩვენში სულ უკუღმა ესმით და მას საფრთხესავით გაურბიან...

ამგვართ საკითხის გადაწყვეტაც გადიდვა შემდეგი კრებისათვის, რაც ამხანაგობის წარმომადგენლის სიტყვით დიდ ზარალს აძლევს მას (ამხანაგობას), რადგან ამ საჩივარის გამო მუშაობა უნდა შეჩერდეს. ეს მეორე ახალი საქმეა დღესდღეობით ქუთათური კინკლაობის მსხვერპლათ გამზდარი: პირველი წყლის მილის საქმე და დამწყებნი დიდა მადლობელნი უნდა იქნენ, თუ საქმემ ჩვეულებრივათ სასამართლოს კარებამდე არ მიადწია...

დასასრულ ორიოდ სიტყვა ქუთაისის ცხოვრების ამონაკითხიდან. მოგვხსენებათ, რომ ქუთაისში ორა საშუალო საერო ვაჭების სასწავლებელია: რეალური სასწავლებელი და გიმნაზია. ორივე დღეს ახალ ვეებერთელა სადგომებს იშენებენ, რისთვისაც მათ აუარებელ მუშა ხალხს (რომლებიც აქ როგორც მახლობელ, ისე შორეულ რაქა-ლეჩხუმის და სვანეთის სოფლებიდან იკრიბებიან) სამუშაო გაუჩინა და ამიტომ შავი ზღვის პირებზე ორიოდ ვროშის საშოგრათ წასვლა იმათ აღარ დაქირდათ, მარა ვაი ამისთანა დარჩენას და სამუშევრის შოვნას. აქ, თურმე, ამ სამუშევრის მოიჯარადრების მოსაყვედურეს დღე ერთია და ათობით და ოცობით შეხედებით ქუჩებსა და სხვა სამუშევრებზე. სწორეთ ამგვართ ორი მეტათ ჯან-სალი ახალგაზდა ახალქალაქელი ქართველების დამშვეულობის სურათი ენახეთ ამ დღეებში. ეს ორი ახალგაზდა წვიმიან დღეში დაიარებოდნენ არქიელის გორაზე მოსახლეებში და იხვეწებოდნენ: «ბატონებო, სამუშევარი მოგვეცით რამე, საქმელი არა გვაქვს და არც ფული მოგვეძვეება. იპ, ვგურ (გაიშვირა ხელი რეალურ სასწავლებლისკენ) იმ სასწავლებელში ვმუშაობდით ეს ერთი კვირა და ღვთის და კაცის პირისაგან დაწყველილმა თავდგურმა ერთი კაპიკი არ მოგვეცა თითო კვირის ნამუშევარი ცხრა მანათა გვერგებოდა. აი დღეს, აი ხვალ გვატყუებს ის ოჯახ ამოსადგები და ჩვენ კი მშიერები ვინოცებით. ნაცნობი არავინ გვყავს, რომ ხელი მოვიცვალოთ; ექვსი დღის სავალიდან ვართ ორიოდ ვროშის საშოგნელათ წამოსული, აქაური ავი არ ვიცით და კარგი. თუ ჩემი არ გჯერათ დალექტორთან მიდითო გვითხრა იმ სულ...მა ურჯულომ. მე კი ვუთხარი დილექტორთან, პოლიციაში და სუდებში ჩივილი თუ შემძლებოდა შენთანაც არ მოვიდოდი ამ სიშორეზე სამუშევრათ მეთქი და რომ ველარას გავხდით წამოვედით, ბატონო, და ასე მათხოვრებით თქვენისთანა მადლიან კაცს ვთხოვთ სამუშაოს და თუ შეგვიბრალებთ თქვენ იცით. იმათაც იშოვეს აქ ცოტადღენი სამუშევარი და

აბღეს თუ არა ორიოდ გროში, მაშინვე გაიქცენ პურის საყიდლოთ.

ისი.

ღობროლიზობვის სსოვეს.

(ნეკრასოვიდან).

იყავი მკაცრი, ვნებათა ღელვას
ნათელ გონებას უმორჩილედ,
თავისუფლების მქადაგებელი
მისთვისვე სიკვდილს გვიღალადებდი!

უარი ჰყავი ამა ქვეყნისა
განცხრომა, სოტეო და ნეტარება,
იყავი წმინდა, ქაბუკი გული
არ გაალადე, არ მიეც შევბა!

სამშობლო, როგორც სატრფო, გიყვარდა,
დიდების გვირგვინს მას უმზადებდი,
შრომას, სიცოცხლეს აძლევდი მსხვერპლათ
და განთიადის კარებს უღებდი!

მაგრამ უღროვოთ მოკვლო ბოლო,
მძლავრი კალამი გაეშვა ხელსა,
ოხ, რა კანდელი ჩაქრა უღროვოთ,
და ან რა გულმა საფლავს ჩაჰკენსა?

გავილა ხანი, ჩაყუდა მტრობა,
დიდების ძეგლზე შენ აღიმართე,
სამშობლო მიწავ, იტირე შვილი,
მაგრამ იმავ დროს მით იამაყე!

ღლიდან შენისა დაბადებისა
ამ გვარი შვილი შენ არ გინახავს.
ერის საუნჯე, ერის დიდება,
ბედს შენს ვარსკვლავათ გამოუსახავს!

ღელავ მშობელო, ტკბილო ბუნებაე,
ამ გვარ გმირებსა რომ არ გვაძლევდე,
ტანჯულ ცხოვრების ტანჯულ შვილებსა
სულს შეგვხუთავდა მთლათ სიწყვდიადე.

ი ევლოშვილი.

ოც-და-ექვსი და ერთი

(მ. გორკისა).

ჩვენ ოც-და-ექვსი კაცი ვიყავით, — ოც-და-ექვსი ცოცხალი მანქანა, ჩამწყვედულნი ნოტიო სარდაფში, სადაც ღლიდან საღამომდე პურის ცომს ვზელდით და ვაცხობდით კრენდლებსა და კოკრებს. ჩვენი სარდაფის ფანჯრები იქვე აგურით ამოშენებულ, სინოტივისაგან გამწვანებულ ხრამის პირ-და-პირ იყო. ფანჯრების ჩარჩოები რკინის მავთულის ბადით იყო შამოჭვდილი და ამიტომ ფქვილით დამტვერიანებულ მინებში მზის სხივები ჩვენამდე ვერ ატანდა. ჩვენმა აღამ ფანჯრები რკინით იმიტომ შამოგვიჭვდა, რომ მისი პური არ გვეძლია მათხორებისა და ჩვენ ამხანაგებისათვის, რომელნიც უმუშევრობის გამო დამშეულნი იყვნენ. აღა ჩვენ „უული-

კებს“ (ვერანებს) ვეცახოდა და სადილათ ხორცის მაგიერ დამზალ და ამყრალებულ აპუნტებს გვაძლევდა.

ჩვენ სული გვეხუთებოდა დაბალ და მძიმე ქვარტლით და ობობას ქსელით შემოსილ ქვის იატაკიან კალოფში; ღონე მიხდილი და სულ შეგუბებულნი ვიყავით ოთხ სქელ-კედელშია, რომლებიც ტალახითა და ობით იყო აფერადებული... გამოუძინარი დილით ხუთ საათზე ვღვებოდით, და გამოშტერებულნი, გულ-გრილათ მივუჯდებოდით ხოლმე სტოლს კრენდლების ცომით, რომელიც ამხანაგებს დაეშადებინათ ჩვენი ძილის დროს. ამხანაგათ ვატარებდით მთელ დღეს საღამოს ათ საათამდე; ზოგი ჩვეგანი დამკლავებული ცომს აგუნდავებდა, რომ არ დაყვიბებოდა (ახაწილვდა), ზოგი კი ფქვილს წყალს ასხადდა და ზელდა. მთელი დღე ჩაფიქრებული და დაღვრედილი მიძიხებდა წყალი ქვაბში, რომელშიაც ინარჩუნებოდა კრენდლები; ხაბახი კი ნიჩხბს ურევდა, ამოქონდა ქვაბიდან მოხარბული კრენდლები და ყრიდა ფენისგახურებულ აგურებზე. ფეის ვოთ მხარეზე დილიდან საღამომდე იყვოდა ძემა და ცეცხლის წითელი ალით მუდამ გაპარბალვებული იყო სახელოვნოს კედლები, თითქოს ჩვენ უნაოთ დაგვცინიანო. ვეებერთელა ფენი საზღაპრო ცხოველის დაძახინჯებულ თავს მიაგავდა; მას თითქოს იატაკში ამოეყო თავი, დაელო ანთქულის ცეცხლით სავსე პირი, გვაფრქვევდა ჩვენ სითბოს და უყურებდა ჩვენ გაუთავებელ მუშაობას ორი შავი ჩაღრმავებული სასუხეთი. ეს ორი ჩაღრმავებული ემსგავსებოდა მჭებრალვებულ და ადვლეებულ თვალებს უზარმაზარი ცხოველისას: ისინი ჩვენს კვ მკრთალათ, აღმაცერათ გამოიყურობოდენ, თითქო დაღლილიყვენ მიხების მხერით და, რადგახ მათგან კაცობრიულს არას გამოელოდენ, თავმომწონეთ ეზიზღებოდათ ისინი.

ყოველ ცისმარა დღეს ფქვილის მტვერში და ჩვენი ფეხებით შემოტანილ ტალახში, ამყრალვებულ და დაბზულ ჰაერში გავშლიდით ცომს და ვაკეთებდით კრენდლებს, ვასველებდით ჩვენი ოკულით. ჩვენ საძიხლათ გემულდა ჩვენი მუშაობა და აოასოდეს აო ვქაძდით რაც კი ოად ჩვენი ხელიდაა კეთდებოდა; მავ პურს ვარჩევდით. ჩამოვემქვიკებოდით ცხოა კაცი ცხობის პირ-და-პირ და დიდხობით ვაქევიდით ხელებს და თითებს ძეკანიკუოათ, და ისე მვეყვიეთ ჩვენ მოომას, რომ აოავითარ ჩვენ მოძრობას თვალ-ყურს არ ვადევნებდით. ჩვენ მუდამ ვოთმხეთის ყუოეიადი ისე მვეისწყაკლეთ თითოეული ჩვენის ხიძები, რომ ვიცოდით ვოთმხეთის სახის ყოკელიეე ნაოქები. ჩვენ სალააოაკო აოავეთი გვექანდა, ყველაფეოს მვეყვიეთ და იუმათ თუ აო ვიყავით ვოთმხეთის ყლანბლავდით, რადგახ კაცის გალანძღვა მასალაა, და განსაკუთოყით ამხანაგის, ყოკელთავის მოვალაა. მარა ვინყითაც იმეიათათ ვაგისყადათ, რაძიაც მქიძლვბა თვით ადამიხი იყოს დაძიავყე, თუ კი იგი სახანვეოოთ ძვედოია, — თუ იგი განეყებულია და ყოკელიეე მისი გრძნობები დაბზულხი არიას აუტანელის მოოძით! მარა სინუძე საოცარი და მქმაუხუხეკლია მხოლოთ მათთვის, ვინც უკვე ყველაფეოი თქვა და მეთი სათქმელი აღარა აქვს; ვისაც ჯეო კიდევ არ დაუყუია თავისი სიტყვეი, მათთვის სიიუძე ადვილი და უიოლო რაძ არია... მავრამ ხან-და-ხან ჩვენ ვიძღეოოდით, და ჩვენი



სიმღერა ასე იწყებოდა: მუშაობის დროს ვინმე ამოიხუნეშებდა და დაამღერებდა ერთერთ გრძელ სიმღერას, რომლის შემბრალებ, სააღერსო კილო მომღერალს სევდიან, მჭმუნვარე გულს სიაშოვნებას გვირდა. დაიწყებს მღერას ერთი ჩვენგანი და დანარჩენები გაჩუმებული ვუსმენთ მის მარტოხელ სიმღერას, რომელიც იკარგება და იხშობა სარდაფის სქელ ქერ ქვეშ, როგორც პატარა ცეცხლი უდაბნოში შემოდგომის ნოტიან ღამეს, როცა დედამიწას გადაკრული აქვს ნაცრის ფერი ცა, მზგავსათ ცინკის სახურავისა. შემდეგ მომღერალს მიემატება მეორე და აი ეს ორი ხმა წყნარათ და სევდიანის ხმით დღილინებენ ჩვენი შეხუთული ორბოს სივიწროეში. უეცრათ, ერთბაშით რამდენიმე კაცი ხმას ააყოლებს სიმღერას,—იგი ტალღებივით შეითამაშებს, გაძლიერდება, ხმას მოუმატებს და ჩვენი სატუსალოს ქვის მძიმე კედლებს აქეთ-იქით გაწი-გამოწევს...

მღეროდა ოცდა ექვსი კაცი ერთათ; მაღალი და დიდის ხნით შეწყობილი ხმები გაისმოდა მთელ სახელოსნოში; სიმღერა იქ ვერ თავსდებოდა; ხედებოდა ქვის კედლებს გაკიოდა, ტიროდა და გულს ამხიარულებდა, აღვიძებდა ძველ ჭრილობებს და აღვიძებდა სევდებს... მომღერლები ღრმათ და გულამოსკვნით ამოიხუნეშებდნენ ხოლომე; ზოგი მოულოდნელათ შეწყვეტდა სიმღერას, და დიდხანს უსმენდა ამხანაგებს და შემდეგ ხელახლა შეუერთებდა თავის ხმის საერთო მღელვარებას. ზოგი კი სევდიანათ წამოიძახებდა: „ოხ!“—ამ დროს შეიძლება მას მკვირცხლი, მაღალი ხმის ტალღები წამოუდგებოდა შორს, ძალიან შორეულს გზაზე, სადაც მზე ცხოვლათ ანათებს და ამ გზაზე მიმავლათ თავისი თავი...

ფეხში ცეცხლის ალი სულ გუგუნებს, ხაბაზის ნიჩაბი სულ დაფრიალობს აგურებზე, წყალი ქვაბში შიშინებს, ალის შუქი კედლებზე ელვარებს და უხმოთ იცინის... ჩვენ კი სხვისი სიმღერით ვამღერებთ ჩვენ მწუხარებას, მძიმე სევდას ცოცხალი აღამიანებისას, რომელნიც მოკლებულნი არიან მზის სინათლეს, მონების მწუხარებას. ასე ამნაირათ ვცხოვრობდით ჩვენ ოცდა ექვსი დიდი ქვის სახლის სარდაფში, და ჩვენ იმდენათ გვემძიმებოდა იქ ცხოვრება, რომ გვეჩვენებოდა, მთელი სამსართულიანი სახლი ჩვენ ბეჭებზე იყო აშენებული...

ზ. ჩიჩუა.

(შემდეგი იქნება)

წერილი მიუნხენიდან.

ინგლისის კოლონიების მინისტრი, ჩემბერლენი, წინეთაც არ იყო დავიწყებული. იმის თითქმის ყოველ დღე იხსენიებდა ჟურნალ-გაზეთობა მას შემდეგ, რა რომ სამხრეთ აფრიკაში ომიანობა ატყდა. გერმანია კერძოთ დღეს დღეობით მარტო იმაზე ლაპარაკობს. მოგვხსენებათ, რომ ჩემბერლენი მტკიცეთ ადკია ბურების ამოსრვისის პოლიტიკას. მაგრამ, რაც დრო გადის მით უფრო აკლდება მას თანაგრძნობები, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვით ინგლისის საზოგადოებაში უკმაყოფილება დღითი დღე მატულობს. თვით აფიკრები სამსახურს თავს ანებებენ და ბრუნდებიან ტრანსვაალიდან. ხშირდება ლიბერალური პარტიის მიტინგები; ამ მიტინგებზე სასტიკათ კიცხავენ ინგლისის მტარვალობას ტრანსვაალში. ბურები კი აგერ მესამე წელიწადია ომიობენ მარტო, თითქო ქვე-

ყანაზე მათი და ინგლისელების მეტი არაინ იყოს. არსაიდან მშველელი არ აღმოუნდა მათ; ყველა თავის ინტერესებშია გართული, ყველას დავიწყებია იგი, ან დათუ არ დავიწყებია, განგებ არ ხედავს მას, ნხოლოთ ტოლები არ ივიწყებენ; „ბედისაგან დაჩაგრულთ“ ისევ «ბედისაგან დაჩაგრულები» უწოდებენ ხელს. ორიგინალური დახმარების ინიციატივა ეკუთვნის ჰოლოლანდიის ნავთსადგურების მუშებს. მისი დედა აზრი შემდეგია: მაუ განიზრახეს ინგლისის გემების «ბოიკოტი» (ე. ი. ისინი და ვინც მათ თანაუგრძნობს, ინგლისის გემებს არც დატვირთავენ და არც დატლიან) იმ შემთხვევაში თუ ინგლისი დანიშნულ ვადისთვის არ შეწყვეტს ომიანობას და მკვიდრობიანობას არ ჩამოაგდებს. მიმართეს მოწოდებით ეგერობის ნავთსადგურების მუშებს. დიდი თანაგრძნობით მიეგებენ ამ მოწოდებას მუშები და ბევრ ადგილას მონაწილეობის სრული თანხმობა გამოუცხადეს.

ყველა ამ გარემოებებს არ შეეძლო არ ემოქმედნა ჩემბერლენზე და აი, ის ცდილობს გაიმართლოს თავი; ამ თავის მართლებში ის ამართლებს ინგლისელების მტარვალობას ტრანსვაალში. «ჩვენ ბურებს არ ვეპყრობით ცუდათ—თქვა მან ამ ცოტა ხანში ედინბურგში—გერმანელები ბევრათ უფრო სასტიკათ ეპყრობოდნენ ფრანგებს 1870—71 წ. ომიანობის დროს, ვიდრე ჩვენ ბურებსაო. აი ამ შემთხვევამ ალაპარაკა დღეს გერმანია; აი ამისთვისაა, რომ ბევრს ლაპარაკობენ ჩემბერლენზე სამშობლოს დამცველათ და მისი სახელის აღსადგენათ ამ შემთხვევაში გამოვიდა გერმანიის მოსწავლე თაობა—სტუდენტები თავიანთი პროფესორების წინამძღოლობით. თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში მოხდა კრებები და მიუნხენმაც აამაღლა ხმა, თუმცაღა ყველაზე გვიან, და 20 ნოემბერს «ჩემბერლენის» საღამო გამართა. სამი დღით წინ აქაურ უმაღლეს სასწავლებლებში გამოკიდებული იყო მოწოდებები მიუნხენის სტუდენტთა მიმართ შემდეგი შინაარსით: „ინგლისის კოლონიების მინისტრმა ჩემბერლენმა საზოგადო კრებაზე ედინბურგში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც ინგლისის ჯარის მოქმედებას ტრანსვაალში აღარებდა გერმანელების მოქმედებას 1870—71 წლების საფრანგეთთან ომიანობის დროს. რადგანაც ეს (თავიდან ბოლომდე) მტკნარი სიცრუე და ცილის წამებაა, ყოველი გერმანელი ვალდებულია პროტესტი განაცხადოს ამის წინააღმდეგაო. კრების ადგილათ ლუდხანა „Münchener kinde-keller“-ი იყო დანიშნული. მოწოდებას ხელს აწერდა ორი პროფესორი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ახალგაზდობა არ დააკლდება ამ საინტერესო კრებასაო, რაშიაც არ მოტყუვდნენ. საღამოს 8 საათზე იმოდენა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ამ უზარმაზარ ლუდხანაში დასადგომი ადგილის შოვნაც ჭირდა. შესვლა შეიძლებოდა სტუდენტის ბილეთით. ამისთვის ეს ზალა დღეს მარტო სტუდენტებით არის გაქედლილი. ერთი თვალის გადავლებით თქვენთვის აშკარაა, თუ რა სტუდენტობას მოუყრია აქ თავი, ან როგორი ყოფილა აქ სტუდენტობის უმრავლესობა (ზალაში 4000 კაცია). აქ მოუყრიათ თავი იმ სტუდენტებს, რომელნიც შედიან წევრებათ ამა თუ იმ კორპორაციაში; ეს კი ადვილი მისახვედრია, რადგანაც ყველა კორპორაციას თავისი ფორმა აქვს. იმათი ქულების ფერის სხვა-და-სხვაობა

კორპორაციის სხვა-და-სხვაობის მიჩვენებელია. თითო კორპორაციას ცალკე ადგილი აქვს დაჭერილი. ყველა კორპორაციას თავს ადგია საკუთარი მოსამსახურე იწვევ ფორმის ქუღში, როგორც კორპორანტებისა (განსხვავება ის არის, რომ მოსამსახურის ქუდი უფრო დიდი და ზედ კორპორაციის გერბი აკრავს). ისინი უზიდავენ ლუდს, რადგანაც ლუდხანის მოსამსახურე ქალები (Kellnezin) ვერ აუდიან მათ, თუმცა იმათი რიცხვიც დიდა.

აქაური სტუდენტების დასახსიათებლათ საქაროა ვიცოდეთ, ვისგან შედგება კორპორაცია, აქვს მას რაიწე მისწრაფება, გამორკვეული მიზანი, თუ არა? აქვს, რასაკერველია, მისწრაფებაც და მიზანიც. ამას ნათლათ შემდეგი გვიჩვენებს. კორპორაციაში შესვლის მსურველს არავითარი იდეური მიმართულება არ ქირდება. მას უნდა შეეძლოს ბლომათ ლუდის სმა, განუწყვეტილვ ქეიფი და კენქნაობა. ყოველ კორპორაციას მიჩნეული აქვს რომელიმე ლუდხანა, სადაც მისი წევრები იყრიან თავს. ხშირათ შექედებით აქაური ლუდხანის შესავალ კარებს ზევით გერბს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ლუდხანა ამ და ამ კორპორაციის „ლოკალია“ (ე. ი. ადგილი, სადაც ის იკრიბება). აქ შეკრებილი სტუდენტების სხის გამომეტყველება სრულ კმაყოფილების და განუსაზღვრელი მხიარულების მიჩვენებელია და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო იმათ სრულებით არაფერი აქვთ საფიქრებელიო. ეს რამდენიმეთ მართლდება კიდევ, თუ შედეგობაში მივიღებთ, რომ გერმანიაში საზოგადოთ უმაღლეს სასწავლებელში მარტო მდიდრები შედიან. მდიდრებს კი, მოგვხსენებათ, ცხოვრების დალი ძვირათ აზის, იმათი ჯანმრთელური მიხვრა-ჰოხვრა და ვარდიეთ გაბადრული სახეები სახარბიელო იქნებოდა, რომ ამ სიხარბეს თან მწარე გრძნობა არ მოსდევდეს. ეს გრძნობა გებადება, როდესაც ხედავ იმათ დასახიჩრებულ სახეებს და მათ შორის ბევრ ახალ ქრილობებსაც, რადგანაც ეს მომასწავებელია ენერგიის ფუჯათ ხარჯვისა მაშინ, როდესაც მათი სამშობლოც მეტათ საქიროებს მხნე და პატიოსან მუშებში. მაგრამ დაფუბრუნდეთ კრებას. თუმცაღა ის უშინაარსოა თვითონ, მაგრამ მეტათ შინაარსანია იმ მხრით, რომ კიდევ უფრო ნათლათ გვიხატავს სტუდენტობას და რამდენიმეთ პროფესორებს.

პირველი ადის კათედრაზე უნივერსიტეტის პროფესორია, შტენგელი. „ჩვენი აზრითაო, ამბობს იგი, ომიანობას იმას ეძახიან, როდესაც ორივე მეომარი მხარე შეიარაღებულია, ბავშების და ქალების დატყვევება და ხოცვა, რასაც ინგლისელები ჩადიან, ბარბაროსობააო“. შემდეგ წაიკითხა ჩემბერლენის სიტყვიდან ის ადგილი, სადაც ინგლისის მინისტრი ამბობს, რომ ინგლისს არასოდეს არ ჩაუდენია ის, რაც ჩაიდინეს რუსებმა, ფრანგებმა და გერმანელებმა პოლონეთში, კავკასიაში და ფრანგ-გერმანელთა ომიანობის დროსაო. (ხანგრძლივი „ფუი“ ჩემბერლენის მიმართ). ამ სიტყვებმა მთელ გერმანიაში ზიზღი გამოიწვიაო; მასთან ჩვენ შიაც აღმოჩნდა ისეთი პირები, რომელნიც არამცთუ წინააღუდგენ ამ სიტყვებს, არამედ ჩემბერლენის მხარეც დაიჭირეს. ეს გახლავთ სოციალ-დემოკრატები და მათი პრესაო. მე შემეძლო იმათთვის მეწოდებია «სამშობლოს მოკლებულნი» („vaterlandslose“). მარა ისინი უნდა შევიბრალოთ და

არა გავკიცხოთო. (ხანგრძლივი «ვაშა» სტუდენტების ფრანგებთან ომიანობის დროს გერმანელების დაცვას მე ვთვლი ჩვენი ჯარის და მისი წინამძღოლების პირდაპირ შეურაცხყოფათ. ჩვენ მოვალე ვართ მალღა გვეჭიროს ნაციონალური დროშა და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ განვთავისუფლდეთ უცხოელების გავლენისაგანაო; ახლა იმოდენათ მძლავრი ვართო—დაბოლოვა პროფესორმა—რომ ადვილათ შეგვიძლია გავაძეოთ ის უცხო სიტყვები (ნამეტურ ინგლისური); რომელნიც ვერ კიდევ არიან ხნარებაშიო (ხანგრძლივი ვაშა).

მეორე პროფესორმა მევლინ-ჰეკარტმა (ისტორიის კითხულობს პოლიტენიკუში) გერმანელების მოქმედება ომიანობის დროს გვირუღათ დასახა და ძრიელ ბრახმორეული იყო, ჩემბერლენმა როგორ შეადარა ინგლისელების მტარვლობას ტრანსვაალშიო. ჩვენ არ უნდა შევალანძლიოთ იმ ომიანობის საამყო ხსოვნა, რომელიმაც ჩვენ აგვაძალდა და თავისუფლება მოგვანიჭაო. ის მით უფრო განრისხებული იყო, რომ თუ არ ინგლისელები, ჩვენ 1870 წ. პარიზს დავიჭვრდითო. ჩვენ მაინც იმ დიდებული დროის იდეალის მოტრფიალენი ვიქნებით და მუდამ ერთგული დავრჩებით შემდეგი სიტყვების: გერმანია, გერმანია, ყველაზე მალღაო Deutschland, Deutschland über Alles (ნაციონალური გიმნიდან) კრება დასრულდა იმპერატორის, ბავარიის მმართველის პრინც (რეგენტის) და არმიის სადღეგრძელოთი; ამას მოყვა ნაციონალური ჰიმნი, რომელიც მშვენიერათ შეასრულა ოთხი ათასმა კაცმა.

ადგილობრივი ლიბერალური პრესა ადტაცებით მიეგება ამ კრებას და მის მიზანს. მეორე დღეს ქებით იყო ავსებული მისი ფურცლები. სხვაფერ უყურებდა ამ გარემოებას სოციალ-დემოკრატის პრესა და სხვანაირ მღგომარეობაშიც ჩავარდა ის ამის გამო. მეორე დღეს იძულებული იყო კრების მოკლე ანგარიში ზემოთ დასახელებული გაზეთებიდან გადმოებეჭდა; თან დასძენდა: „ჩვენი წარმომადგენელი დარბაზში არ შეუშვებს, მას გამოუტხადეს, სასურველი გაზეთების წარმომადგენელნი უკვე დავპატიყეთო; ნახევარი საათის შემდეგ შეუშვებს კიდევ რამოდენიმე ბურჟუაზიული პრესის წარმომადგენელი. ამგვარი კარ-ჩაკეტილობა და ფეოდალური საქციელი მთელ კრებას ბავშვურ ხასიათს აძლევსო“. მკითხველიც ჩვენი აზრით დავთანხმება ამ გაზეთის აზრს და არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ გერმანიას ამგვარი კრებები არ შეშვენის.

3. კ-ნი.

ბ ე რ ტ ე ლ ო .

ამ დღეებში საფრანგეთმა იღღესასწაულა თავისი გამოჩენილი შვილის ბერტელოს ორმოც-და-ათი წლის მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე. ბერტელო დაიბადა პარიზში 1827 წელს. მამა მისი იყო ექიმი და შვილი განიერულათ აღზარდა. ბერტელომ დაასრულა ჰენრიხ IV ლიცეი. 1851 წ. ცხრა წლის განმავლობაში იყო ლაბორანტათ, შემდეგ მიიღო ორგანიული ქიმიის კათედრა ფარმაციის უმაღლეს სასწავლებელში (Ecole supérieure de pharmacie); 1863 წ. მისთვის დაარსებულ იქნა ორგანიული ქიმიის კათედრა საფრანგეთის კო-



ლეჯში (Collège de France), რომელიც არის ამ ქვეყანაში პირველი სასწავლებელი. ამნაირათ ბერტელო, გამოვიდა რა მეცნიერების გზაზე, დღემდისაც ვმსახურებ მას, თუმცა კარგა ხანში შესული ადამიანია. მეცნიერი ორი ტიპისაა. ზოგი მეცნიერი რომ აიღებს ერთ საგანს, მთელ თავის ძალას, მთელ თავის სიცოცხლეს იმას წირავს და არც კი აქცევს ყურადღებას, მის გარშემო თუ რა ხდება. მეორე ტიპის მეცნიერი არ კმაყოფილდება მარტო სპეციალური გამოკვლევებით, ცდილობს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჩაერიოს და თავისი ცოდნა ოთხ კედელს შუა არ დამარხოს. ბერტელო ეკუთვნის მეორე ტიპის მეცნიერთ. ის თავის სპეციალურ საგანსაც არ იფიწყებდა და პოლიტიკასაც უყურადღებოთ არ ტოვებდა.

ქიმიში ბერტელოს დიდი ღვაწლი მიუძღვის. მან მისა მკვიდრი საფუძველი ამ მეცნიერების მთელ დარგს. ქიმიას ყოფენ ორ ნაწილათ: არაორგანიული და ორგანიული ქიმია. იმ შეერთებათ, რომელნიც შეადგენენ დედა-მიწის მინერალურ ნაწილს, იკვლევს არაორგანიული ქიმია, ხოლო იმ შეერთებათ, რომელნიც დამზადებული არიან მცენარეთა და ცხოველთა ორგანოებში, იკვლევს ორგანიული ქიმია. წინეთ ფიქრობდენ, რომ ორგანიულ და არაორგანიულ ნივთიერებათა შორის არსებითი განსხვავება არისო. ფიქრობდენ, რომ, რა კი ორგანიული შეერთებანი შემუშავდებიან სიცოცხლის პროცესების გავლენით, ამიტომ მათში უნდა იმალებოდეს ისეთი რამ, რაც მათ განარჩევს არაორგანიულ შეერთებათაგანო. ეს რალაცა უცნობი მაშინდელი წარმოდგენით იყო «სიცოცხლის ძალა». რა კი ასე უიმედოთ იყვენ, ამიტომ ამ საუკუნის ნახევრამდე, ე. ი. ბერტელოს სამეცნიერო ასპარეზზე დამკვიდრებამდე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ანალიზს, სულ იმის ცდაში იყვენ, რომ რაული შეერთებანი დაენაწილებიათ უფრო მარტივ სხეულებათ. ხოლო რაც შეეხება სინტეზს, ესე იგი მარტივი სხეულებიდან რთულ შეერთებათ მიღებას, აქ საქმე ძალიან კოჰლობდა და თუ რამე კეთდებოდა კიდევ ისე არაორგანიულ ქიმიში. ორგანიულ ქიმიში კი საიდუმლოებით მოცული «სიცოცხლის ძალა» მკვლევართ სრულიათ უკარგავდა იმედებს. მაგრამ აქაც მეცნიერების თან-და-თან განვითარებას, მის ძლიერებას ვერ გაუმაგრდა «საიდუმლოება». პირველათ ველერმა 1828 წელს არაორგანიულ ნივთიერებათაგან მოამზადა შარდი, რომელიც ორგანიული შეერთებაა, რადგანაც ის ცხოველი ორგანიზმის ნაყოფია. იყო კიდევ ორიოდე ფაქტი, მარა ამ განცალკევებულ ფაქტებს აკლდათ ახსნა და შესაფერი დასკვნების გამოყვანა. სწორეთ ამ დროს გამოჩნდა ბერტელო. ურიცხვი გამოკვლევების შემწეობით ამ მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ორგანიულ შეერთებათა უმეტესი ნაწილი შევსდელია მივიღოთ სინათლის, სითვის, ელექტრონის და სხვა ცნობილი ძალების ზეგავლენით და სრულიად არავითარი ადგილი არ აქვს რალაც საიდუმლო «სიცოცხლის ძალას». საყურადღებო არის აცეტილენის სინტეზი, რომელიც მიიღო ბერტელომ წყალბადის და ნახშირბადისა ან ელექტრონის მოქმედებით. ამნაირათ განდევნა ბერტელომ მეცნიერებიდან «სიცოცხლის ძალა» და გაკაფა გზა ბუნების კა-

ნონების და მათი მოქმედების აღმოსაჩენათ ორგანიულ ცხოვრებაში. შემდეგ მან მიყო ხელი ტერმო ქიმიას, რომლის საგანია იმ სითფურ მოვლენათა შესწავლა, რომელთაც გამოიწვევს ქიმიური პროცესები. ამ დარგში მუშაობამ აი რა დასკვნამდი მიიყვანა ბერტელო. სულ ყველა ქიმიური მოვლენები არსებითათ წარმოადგენენ ატომების მოძრაობას და მათ ურთიერთ გავლენას. ქიმიური ენერგია არ არის განსაკუთრებული რამ, ისიც იმავე საზომით იზომება, რომელიც არსებობს სხვა გვარ ენერგიათათვის. ქიმიური ენერგიის საზომი არის სითფო, რომელიც გამოშორდება ან ჩაინთქვის ქიმიურ გარდაქმნის დროს. სითფური ენერგია კი, როგორც ვიცით ეთანაბრება მექანიურ მუშაობას. ამნაირათ ქიმიური ძალებიც ერთ და იმავე საერთო ძალას დაედარა, ერთ და იმავე საზომით გამოიხატა. აქ საყურადღებოა შევნიშნოთ ერთი რამ. ბერტელომ შექმნა მთელი მიმართულება, მის გარშემო შეიკრიბა არა ერთი ნიჭიერი მკვლევარი, რომელნიც მისი მეთოდის წყალობით ბევრ ახალ აღმოჩენებს ახდენენ. ამ საერთო მოქმედებას ისეთი მიმართულება მიეცა, რომელიც ნებას გვაძლევს წარმოვდგინოთ, რომ მომავალში სრულიად შეიცვლება ადამიანის ტენიკა. ორგანიული ქიმიის წყალობით ხელოვნურათ მიიღეს ბევრი ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც წინეთ იცოდენ, როგორც მხოლოთ ორგანიული მოქმედების შედეგი. გააკეთეს ხელოვნურათ ქინა, რომელიც წინეთ მხოლოთ ქინის ხის ქერქიდან მუშავდებოდა, ფისისაგან გააკეთეს სახარინი, რომელიც შაქრის მაგიერობას ეწევა. ხელოვნურათ გაკეთდა ცნობილი საღებავი ლილა, რომელსაც წინეთ მხოლოთ ერთგვარი მცენარისაგან მიიღებდენ. ერთი სიტყვით ბევრი ისეთი ნივთიერება მომზადდა ხელოვნურათ, რაც წინეთ მხოლოთ ორგანიული არსების ნამოცემდრათ ითვლებოდა. ამნაირათ მრწველობას დაუდგა ახალი ხანა. გაიფუდა ეს ნივთიერებანი. ადამიანიც აღარაა დამოკიდებული მოსავალზე და სხვა ადგილობრივ და შემთხვევით პირობებზე, რადგან ხელოვნურათ, სადაც უნდა და რამდენიც უნდა დაამზადებს ამა თუ იმ ნივთიერებას. ჯერ კიდევ დასაწყისში ვართ, რადგან ორგანიული ქიმია ბერტელოსთან ერთათ, სულ ნახევარი საუკუნეა, რაც მეცნიერებაში ძალათ შეიქმნა. მომავალში კი რალა მოგველის? თვით ორგანიული ქიმიის მამამთავრის აზრით, ადვილი წარმოსადგენია, რომ ახლო მომავალში ხელოვნურათ არაორგანიულ ნივთიერებათაგან დავაზადოთ სულ ყველა ის საკვები მასალა, რომელიც დღეს ადამიანისათვის საჭიროა და რომელიც ორგანიულ ნივთიერებათაგან შედგება. ამ სახით მეცნიერება ხელს უწყობს კაცობრიობის დიად ევოლიუციას, რომლის საბოლოო მიზანია ის ააშოროს ადამიანს ტანჯვადმიკრება და წვალება, რომელსაც მას აყენებს ლუკმა პურის მოპოვება. აშკარაა, რომ ხელოვნურათ დამზადება სხვა-და-სხვა საკვებ და ტექნიურ ნივთიერებათა უფრო ადვილი იქნება და მაშ უფრო ნაკლები შრომაც დაჭირდება, უფრო გაიფუდება. ამით მშრომელ ხალხს თან-და-თან ტვირთი გაუადვილდება და ექსპლოატაციასაც თან-და-თან მოაკლდება თავისი სიმკაცრე, სანამ სრულიათ მოისპობოდეს. აი რა გზას ადგია ბერტელო და მის მიერ დამკვიდრებული ორგანიული ქიმია.

ახლა შევეხეთ იმას, თუ რამდენათ მონაწილეობს ბერტელო საზოგადო ცხოვრებაში. 1886 — 87 წლებში ის იყო განათლების მინისტრათ გობლეს სამინისტროში. მარა ჩვენ აქ ყურადღება მივაქციოთ ერთ მოვლენას ბერტელოს ცხოვრებიდან, რომელიც ახალიათებს მისი მეცნიერული სულის ძლიერებას. ისტორიული განვითარების პროცესი დღემდე ისეა მოწყობილი, რომ კაცობრიობას ამა თუ იმ საფეხურზე მიუძღვის ერთი რომელიმე კლასი, ბატონობს ის. ამ შემთხვევაში ეს კლასი იძლევა საუკეთესო მოღვაწეებს სხვა-და-სხვა დარგში. ხოლო რამდენათ ამ კლასს საზოგადოებაში ძალა ეკარგება, რამდენათ ის ირღვევა და მის ადგილას მეორე ძლიერდება, იმდენათ მის გონებასაც სისუსტე ეტყობა, ჩნდება მისტიციზმი და თავის იმედების მაგიერ გარეშე ძალებისადმი პოტინი. ამასვე ვხედავთ ჩვენ ბურჟუაზიაში. როცა ის გამოჩნდა პირველათ მთელი თავისი პოლიტიკური ძლიერებით, მოახდინა საფრანგეთის რევოლიუცია, მაშინ მისმა შეილებმა შესაფერი რევოლიუცია მოახდინეს კაცობრიობის გონების სხვა-და-სხვა დარგში, სხვათა შორის მეცნიერებაშიც. გავისხენოთ თუნდა ლავუაზიე, რომელიც რევოლიუციის ქარიშხალშიც არ ივიწყებდა მეცნიერებას და რომელიც სულ ხელახალი გზა გაუკაფა ქიმიას. მაგრამ დრო მიდის, ბურჟუაზიამ მიაღწია იმას, რაც იდეალათ დაისახა და რაც მისთვის შესაძლო იყო. ახლა გათავდა წინსვლის დრო, ახლა მას უფრო ის აფიქრებს, თუ როგორ დაიცვას ის, რაც შეუძენია. აი სწორეთ ამ დროს მის გონებრივ ძალასაც ფრთა ეკმეცება, მას აღარ რწამს თავისუფალი გამოკვლევის ძალა, მას გულში იბადება ეჭვები, ძლიერდება მისტიციზმი. აი სულის ამგვარი მდგომარეობის გამომხატველი გამოდგა საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ბრუნეტიერი. ის წავიდა რომში, სცა თაყვანი პაპის, დაბრუნდა სამშობლოში და გამოაცხადა: მეცნიერება გაკოტრდაო. მეცნიერებამ შეასუსტა სარწმუნოება, ამით გამოიწვია ზნეობის შესუსტება. ის იმედები კი, რომელსაც იძლეოდა, ვერ გაამართლაო. რასაკვირველია, ასეთმა აზრმა გამოიწვია ნამდვილ მეცნიერთა მხრით შესაფერი პასუხიც. სხვათა შორის ბერტელომაც შესაფერათ დააფასა ბრუნეტიერის გამოლაშქრება. ზნეობა და სათნოებოა, ამბობს ბერტელო, წარმოიშვენ თან-და-თან, ისინი განვითარდნ საზოგადოებრივ ინსტინქტიდან. მაგრამ პირველ ყოფილი აღამიანი იმდენათ უმეცარი იყო, რომ იმას არ შეეძლო თავისივე განვითარების პროცესი შეეგნო, მისი კანონები გაეგო, გავგო აგრეთვე ბუნების მოვლენანი. ამიტომაც პირველ ყოფილი აღამიანები ცდილობდნ ეს მოვლენები თავის მსგავსი არსების სახით წარმოედგინათ. გარდა ამისა ცხოველებში, რომელნიც მოკლებულნი არიან რელიგიას, ჩვენ ვხედავთ არა მარტო მშობლიურ გრძნობას, საზოგადოებრივ გრძნობას და ერთმანეთისთვის თავდადებასაც. მაშ ზნეობის წყარო მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობაა და სხვა არაფერი. რასაკვირველია, მეცნიერებას არ უთქვამს—ავსენი საპყაროს არსებობის საიდუმლოაო. პირიქით იმან გამოარკვია აღამიანის გონების დღევანდელი ძალა და უჩვენა მას შესაფერი საზღვარი, რომლის გადაცილება ცოდნა კი არ იქნება, არამედ ცოდნის უარყოფა. ქვეშარტების

მისაღწევათ მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს. ეს ხერხი მეცნიერული მეთოდი, რადგან ქვეშარტება მხოლოდ ერთია და არ შეიძლება, რომ ის ორ წყაროდან მომდინარეობდეს, ესე იგი «უცნობის სიღრმიდან» და «ცდასა და დაკვირებიდან». მეცნიერული მეთოდი თავისი წმინდა სახით არსებობს სულ ორი საუკუნის განმავლობაში. მიუხედავად ამისა რა დიადი პროგრესი დაეტყო კაცობრიობას და რა სიკეთე შეემატა მას ამ მეთოდის წყალობით! მეცნიერებამ განდევნა ხმარებიდან სიტყვა „საიდუმლოება“, და ამ შემეცნებას ვეღარ შეხვდებით ქიმიკოსების და ფიზიკოსების გამოკვლევებში, რადგან რა მოვლენასაც არ ჩაუკვირდა ღრმით აღამიანი, აღმოჩნდა, რომ ეს მოვლენა ხდება მიზეზის და შედეგის შორის განსაზღვრული დამოკიდებულების ძალით. ერთი სიტყვით მეცნიერებამ არ დააცალა მომავლადეთ თავისი უძღურების შეგნებაში და ბედისწერის მორჩილებაში გაშეშება. პირ იქით მიცა ძალა და სავალება, რომ გავნთავისუფლებია თავი ამნაირ უმეცრებისგან, შეუწყო ხელი ქვეყნიერებაზე უბედურების და უსამართლობის შემცირებას.—აი ასეთია ბერტელოს შეხედულება მეცნიერებაზე. საფრანგეთის ღირსი შვილი ღირსეულათ იქმნა დაფასებული სიცოცხლეში და მომავალშიც არ დაივიწყებს მადლიერათ კაცობრიობა მის სახელს.

3. ს —იე.

პასუხათ ბ. ა. უშისთაველს.

ბ. ა. უშისთაველი ძალიან გაუნაწიებია ჩვენი გაზეთის შენიშვნას წერა-კითხვის საზოგადოების წარსული გრეზის განხილვის შესახებ, და ცდილობს ისე თავისი დასაშვითი, მაგრამ აქ ჩვენ იმის განხილვას არ გამოკვდებით. თვით ის შემთხვევა, რომელიც აჩვენებს უგანახობას „ატიტიტებს“ (?) შეესება ბ. ლასნიშვილს, რომელიც ჩვენ დაცვაში არ სჯობებს, და დაწმუნებული ვარ, ამ შუკრების მკითხველთან მისულებდინ უკვე განმარტებული და გამოკვლეული იქნება სავსებით, რადგან ასე დაუჩანებთ კმატანება მას ბ. უშისთაველი. უგანახილვის «საბასოში» არის სხვათა შორის ადგილი, რომელიც შეგვესება გამგობის ასე წვერებს, იმავე დროს კვალის თანამშრომლებს და რადგან ასეთი მხოლოდ მე და ბ. ივ. გომარეთელი რომელიც ამ უმათ თფითისში არ იმეოფება ვართ, სჯობათ მიმჩნი მიისი განმარტება. ბ. უშისთაველის თქმით, ისეთი მეტამორფოზა მომხდარა ჩვენში პირველ სსდომარევე, რომ ოკიდოერიც კი ვერ წამოიადგენდა თურმე და თვით ის მეტამორფოზა მდგომარეობს მასში, რომ ჩვენ გამგობის სსკა წვერებთან ერთათ ვთხოვეთ ბ. გომარეს კავკასის სკოლის გამგეთ დაჩენა, მაშინ როცა „პეტრე სურგულაძის ბავით გრებაზე გამტკიცებდით, რომ კავკასის სკოლის წესი უკარგო იაო“. ეს არის ის ნიშნები, რომელიც იმედს აძლევს ბ. უშისთაველს, რომ ჩვენ აღ. მიქაბუჩიძის აზრებს დავადებთ. უგანახილვის შესახებ აქვე მოგახსენებთ, რომ ანათურს შეუძლებულს და სსსარტსკოს არ ვსედავთ, რომ რამე სკითხვზე აზრის გამოვცვალათ. გაწმუნებთ, არც ერთი ჩვენთაგანი წინათვე მადებული უნის მისჯალავათ არსად არ შესულა და თუ საქმას ინტერესი და მისი უფრო დასალოებით გაცნობა მოითხოვს, სსკავურ დავაუჩნოთ საქმე, ვიდრე წინეთ გვიფიქრია. ამას არც ჩვენ შეკუშინდებით და არც ჩვენი თანამაზრენი გვისაუკუდურებენ, თუნდა ა. უშისთაველის აზრებიც მკვიდროთ, არა თუ



აღ. მიქაბერიძისა. მეტამორფოზა სწორეთ მ. შან მოხდება, რო-
ცა ს. ქმის სკლის შესაწყობათ შესულნი, უნის აღსრულებას
გამოკვეთებით და არა მაშინ, როცა ს. ქმის გასაქვებლათ რე-
მე უმეტესეული ვითარების შესახებ წინეთ გამოთქმულ აზრს
უარყოფთ თუ ეს ს. ქმემ მოითხოვა. ასე ვთქვათ ს. ქო-
გადოთ, მაგრამ გუბოთ ამ შემთხვევაში ანაგონად აზრის შე-
ცვლას არ ქონია ადგილი და ბ. ვუძისთაველის განცხადება,
ვითომც ჩვენ უკვე შეგვიკვლიდა აზრი ვაკვავის სკოლის შე-
სახებ სიმართლეს მოკლებულია. მართლაც, ჩვენ ვითხოვთ ბ.
გოთუას სკოლის გამგის თანამდებობაზე დაწინა, მაგრამ გ.
სრულიათ არ წყვეტს სკოლის, როგორც წესი ვაკვავის დაკმა-
ყროთ სსსსებულ სკოლაში. რაც იყო სკოლ კრთის, და მო-
ხდა ის, რომ ბ. გოთუას უნდა აჩვენებდეს სკოლის დამკვირვებელ.
ასევე წესი უკვე (თუ დაქვამე იქნება) შემოღებული არ ვაკვავის.
ჩვენ თითონ (გამკვირვებელი) არ ვაკვავის უნდა უმართავდეთ
მსჯელობა ამ ვითარებაზე, თუთ სკოლის ს. ქმის და რაც იქ
მოქმედებს უკვე გამოკვლეული არ არის, სკოლას ვი ვაკვავის
უკვე, სოლო რაც ნაკლებეულებას ვაკვავით სკოლის ს. ქმით
მამდინაბეობაში, ამის მიხედვით თუთ აჩვენებდეს წესრიგი მი-
გვანია. ასეთი ს. ქმის ნამდვილი ვითარება და ასეთ ვითარ-
ებაში რომ ბ. გოთუას დაწინა ვითხოვთ, ნუთუ ეს ამის
მომასწავლებელია, რომ ჩვენ უარყოფითა ჩვენი ნ. ლ. ანაგონა?
არა ბატონო ვუძისთაველი! ეს მსოფლიო ამის ნიშნავს, რომ
ჩვენ ერთის მხრით, არ შეგვიძლია სკოლის უკამკვირვებელი და-
ტოვება და ამიტომ ისევე ბ. გოთუას ვითხოვთ დაწინა, მე-
ორე მხრით ვუკვლით ს. ქმის გამომკვეთას და ს. ქმის გამო-
კვეთადინ არ გვინდა მისი გადაჭრა, რაც ს. ქმის დაკვავის
დასწავლებით ვაკვავისთ იგი. ამ რიგით თქვენა სისარული,
ვითომც ასევე წყვეტება ალ. მიქაბერიძისაზრის გადაჭრა, უ-
ადგილოა და თქვენ მაკვ გამოკვეთასებულე იქნება თქვენ ს.
კუთონი ფინტაზიის ნაყოფია.

ბ. ელიავა.

ქურნალ-განეთებიდან.

ამბობენ, პატარა ერებს სხვაზე უკეთ ესმით დაჩვიული
ერების მისწრაფებანი, მათი გულის წაღილი, და საკვირველიც
იქნებოდა. ასე რომ არ იყოს. მაგრამ ჩვენი, არ ვიტყვი
ერის, პრესის ერთი ნაწილი ასეთ თანავარძობასაც კი
ვერ უცხადებს ჩვენი მეზობელი ხალხის დაჩვიულ და
წამებულ ნაწილს, რომელიც ლამის ამოწყვეტონ კიდევ
ოსმალეთის გაბოროტებულმა ადმინისტრაციამ და ნახე-
ვრათ ველურმა ქურთებმა, იმავე ადმინისტრაციის წაქეზე-
ბით. თუთ ოსმალეთშიაც კი აღმოჩნდა ისეთი დასი, რო-
მელიც უფრო მეტი თანავარძობით ეკიდება სომხებს, ვი-
დრე ჩვენი დარბაისელი და დინჯი „ეროვნობის დროშის
მპყრობელი(?)“ ვაზეთი „ივერია“.

ამის სამწუხარო და საზოგადო მავალით წარმოა-
დგენს «ივერიის» № 253-ში მოთავსებული „ოსმალეთის
სომეხთა საქმე“ ბ. კლდისი.

ბ. კლდის აზრით, სომეხთა საქმე ოსმალეთში ხე-
ლოვნურათ შექმნილი და თითქმის გამოგონებულია; მ-
რობის ყურადღებაც მოხერხებით და გადამეტებული ჩი-
ვილით მიიქციეს სომეხთა მამულიშვილებმა,

„თორემ მარტო წას. პრესითა გონებრივი და წინააღიდე-
გობადაა რომ გამოკვეთას, თუქმის სკოლა არც ამისთვის
დაკვლიათ, სომხის მიქვლიშვილები ფონს ვაკვ ვაკვადან,
რადგანაც ძველთაგან ნანდერძევი ისეთი არაფერა გაან-
დათ, ვერობას სან. ნელად გახდომოდა მისი უგულვებელ
ყოფა ან გადასვლა უღირსთა ხელში. ასეთი უმართლესობა
და წინააღიდეგობა დაკვლითა ვაკვთა ნათესავის წინაშე მსოფლიო და-
დებულ საბერძნეთის ქმინდა და კრომ. კიდევ ასევე მას ს-
ხიზღარი უღელი მოხობისა, ოსმალეთის დადგენილი. მა-
გრამ მასთან თქვის გამოყოფა სომხებს სომ მეტინად ვა-

ხდიდა და კვის ყოფაში ჩაადებდა, თქვი რომ გამოკვეთ. მეც
ნახიზღარი. ავი ამ გზას თავი დანება და სხვას გამო-
უდგა“.

ასე მსჯელობს ღირსეული ვაზეთის ღირსეული თა-
ნამშრომელი, რომლისაც ოსმალთა შეუბრალებლობა და
მხეცური მკარელობაც კი „ადილ ასახსნელით“ მიჩნია,
და არა სჯერა, რომ ოსმალეთის მთავრობა უბრალო ადა-
მიანურ მოთხოვნილებათა წამოყენებამ გაამხეცა.

«თუ (სომეხთა) ოსმალეთის სომხეთის თავდასხმებას და
დამოუკიდებლობას არ თხოვლობდენ, არც ასევე სომხეთის
სამეფოს დაფუძნებას და არც თუ ვითარებებურ ვონსიტუ-
ციონურ გამკვირვებას».

მაშინ, მისი აზრით, ძნელი წარმოსადგენია, „თუთ
ხონთქრის ხელმოწერილ რეფორმის განხორციელების მო-
თხოვნამ, როგორ გაამხეცა ოსმალეთის მთავრობა, მა-
გრამ „ეგებ (= აღება) სომეხთა საქმის განვითარებას ქონ-
და ასეთი მოთხოვნილებათა“, განაგრძობს ბ. კლდისა, და
მისი სიტყვიდან რს დასვენა უნდა გამოვიტანოთ, რომ
ასეთ შემთხვევაში კანონიერი ყოფილა ოსმალთა ქცევა-
ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება! თუნდ, რომ კიდევ
მოეთხოვრათ სომხებს ყველა ჩამოთლილი უფლებები, გა-
ნა ამასთვის გასაკვირვებელი იქნებოდენ?! ან რა ასახიზღებ-
ლია, თუ თავისი მეცადინეობით სომეხთა მამულიშვი-
ლებმა ის მოპოვეს, რისი უფლება, ვთქვათ, ისტორიუ-
ლათ არ ქონდათ, თუმცა ეს ბრალდებაც სიმართლის მო-
კლებულია. სომხებს ისეთივე კულტურული წარსული
აქვთ, როგორც ჩვენ და კლდისებური სიტყვებით მათ
წარსულს „Новое время“ და „Черноморский вѣс-
тник“-იც არ იხსენიებენ. სამწუხარო და სამარცხვინოა
ჩვენი მწერლობისთვის ასეთი მდაბალი გრძობების ადა-
მიანთა ვაზეთის ფურცლებზე ფართაში და მხოლოდ მით
შეგვიძლია ვინუგვით თავი, რომ «семья не безъ
чрода!» ან კი, შეიძლება სერიოზულათ იმ კაცზე ლაპა-
რაკი, რომელიც ისეთ ცოლსაც კი წამებს ოსმალეთის წა-
მებულ სომხებს, რომ მათ

«უმიარტესობა დაინიქს და ბატონობა განიზნასეს
დიდძელ უმეტესობაზე, რომელსაც შეადგენდა მამადინობა,
ს. ლიფსის და ისეამის გულისათვის თავდადებული. მაშინ სომ
კადე ადგილი ასახსნელია მამადინობა მიკვირება, რამაც მე-
სრი ვაკვლო სომხობას და ვაკვ ვაკვ გულის ბუხარია არ
ამოუყრათ».

კარგია ქართველი პატრიოტი, რომელიც ოსმალე-
ბის «გულის ბუხრის ამოყრავე» მეტს ზრუნავს, მას
სწორეთ იმდენივე საერთო აქვს ქართველობასთან, რამ-
დენიც ღღეანდელ ოსმალეთი ძველ დიდებულ საბერ-
ძნეთთან...

დაზვიანებული პასუხი ბ. „Колхидець“-ს. *)

(წერილი რედაქციის მიმართ).

«Тифл. лист.» № 178-ში მოთავსებულია ბ. „Кол-
хидець“-ის კორესპონდენციის ხონის საზაფხულო თეა-
ტრის შესახებ; ამ კორესპონდენციიდან ნათლათ ჩანს,
რომ პატივცემული ავტორი საკმაოთ არ იცნობს იმ სა-
განს, რომლის შესახებაც ებაასება მკითხველ საზოგადოე-
ბას. იგი დაბეჯითებით ლაპარაკობს, თითქო საზაფხუ-
ლო თეატრი დაარსებულ იყოს იმ მიზნით, რომ შემოსა-
ვლი წარმოდგენებიდან მოხმარებოდა ბიბლიოთეკას.
ნამდვილათ კი თეატრის დამარსებელთ სულ სხვა მიზ-
ნი ქონდათ: კრების დადგენილების თანახმათ მათ უნდა
დაეარსებინათ სახალხო თეატრი, სადაც წარმოდგენები
გამართებოდა დაკლებული ფასებით, და ამით უმეტეს

*) პასუხის დაგვიანების მიზეზი იხ. „გაბლი“ № 44, წერილი
რედაქციის მიმართ.

ნაწილს საზოგადოებისას საშუალება მიეცემოდა წარმოდგენებს დასწრებოდა; აი უმთავრესი მიზანი თეატრის დაარსებისა; და თუ შემოსავალი გასავალზე მეტი იქნებოდა, მაშინ დარჩენილი ფულის ერთი ნაწილი მოხმარდებოდა ბიბლიოთეკას, მეორე ნაწილი კი გადაიღებოდა თეატრის ფონდისათვის—მაგრამ ეს სხვათა შორის.

ბ. „Колхидец“-ს არ მოწონს თეატრის შენობა, არ მოწონს სცენის მოყვარეთა თამაში და თითქო უსაყვედურებს თეატრის დამაარსებელთ, არტისტები არ მოიწვიეთო? ჩვენ გვაკვირვებს ასეთი შენიშვნა ბ. „Колхидец“-ის მხრით და ვფიქრობთ, თუ ის ოდნავ მაინც დაკვირვებოდა საქმეს, ამგვარ საყვედურს არ განაცხადებდა; ნუ თუ შესაძლებელი იყო თეატრის დამაარსებელთ თეატრის შენობის სიმშენიერებზე ეფიქრათ იმ დროს, როდესაც თვით შენობის ასაგება ფული ხელში არ ქონდათ და იძულებული იყვნენ სხვისგან ემოვნათ? ამ ნაშოვნით ფულით კი უკეთესი შენობის აგება შეუძლებელი იყო. რაც შეეხება სცენის მოყვარეთა თამაშს, მართალი უნდა ვთქვათ, იგი ხშირად არ იყო საქები, სამაგიეროდ ხანდისხან სრულ ესტეტიურ სიამოვნებას გვირქვდა მაყურებელს. ბ. „Колхидец“-მა უნდა იცოდეს, რომ პროფესიონალურ არტისტების თამაშშიც კი ხშირად ვხვდებით დიდ ნაკლს, და რათ უკვირს მს, თუ ასეთი ნაკლი დაინახა სცენის მოყვარულთა თამაშში. Тифл. лист“-ის კორესპონდენტი სწამებს თეატრის დამაარსებელთ საზოგადო ფულის გაფლანგვას და ამით ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მათ: ათიოდე წარმოდგენა გაიპართათ, მოგვითხრობს იგი, და შემოსავალი კი ასი მანეთი დარჩაო; მიზეზი ამ სის გახლავით, რომ ქუთაისიდან მოკვლეულ არტისტებს ვახშებს უპართავდენ და შემოსავალსაც ამ ვახშებისთვის ხარჯავდენო. სანამ ასეთ ბრალს დასდებდენ ვისმე, საქირა ამ ბრალდების უტყუარი საბუთი იშოვნო. ბ. „Колхидец“-ს კი არავითარი საბუთი არ ქონია ხელში; ამას ნათლათ ამტკიცებს «კვალში» გამოქვეყნებული ანგარიში, რომლიდანაც ჩანს, რომ წმინდა შემოსავალი სამჯერ აღემატება მის მიერ ნაჩვენებ ციფრს. ამგვარ საქციელს სახელათ ცილის წამება ეწოდება და ჩვენც საჯაროთ ვუწოდებთ ბ. „Колхидец“-ს ცდას მწაქრებას. ჩვენ გავარჩიეთ ბ. „Колхидец“-ის კორესპონდენცია და დავეინახეთ, რომ მას არ ცოდნია, რა მიზნით იყო დაარსებული საზოგადოლო თეატრი, არ ცოდნია აგრეთვე, რა საშუალებით აშენდა თეატრის შე-

ნობა, არავითარი წარმოდგენა არ ქონია შემოსავალ-გასავლის შესახებ; მიუხედავად ამისა ის ბეჭდვითი სტატუსის საშუალებით აწვდიდა საზოგადოებას ცნობებს, რასაკვირველია, სინამდვილეს მოკლებულს. მკითხველ საზოგადოებისთვის მიგვინდვია, თუ რა ფასი აქვს ამგვარ კორესპონდენციებს?

პ. კიკალიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, თქვენ გახეთის მასწავლებ ნომერში ადგილი დაუთმოთ ანგარიშს იმ წარმოდგენებისა, რომელიც იმართებოდა წელს სონის საზოგადოლო თეატრში.

17 ივნისიდან 26 აგვისტომდე თეატრის კომიტეტმა გამართა ოთხი წარმოდგენა: ერთი («სამშობლო») სრულ ფასიანი, ერთი («შეშა») დაჯგუფებული ფასებით და ორიც («დაძა და კვა», «სიკვამი დენ შიკვი») — სასალსო. წმიდა შემოსავალი შიკვილი წარმოდგენიდან დაჩხა - 125 მ., 11 კ., მეორესგან—66 მ. 68 კ., მესამესგან - 4 მ., და მოთესგან—17 მ. 50 კ.—სულ 213 მ. 29 კ. ბ. ბ. მდივანმა, კ. შავდაძა და ი. ქეთათელაძემ გადასეს კომიტეტს 69 მ. 29 კ., დაჩხენილი იმ წარმოდგენებდან, რომელსაც ისინი მართავდენ კომიტეტის აჩხუკადინ. ამგვართ ეკვლა წარმოდგენებიდან წმიდა შემოსავალი იყო 213 მ. 29 კ.—69 მ. 29 კ.—282 მ. 58 კ. ამ ფულებიდან სცენის მოწყობაში დაინახვა 35 მ. 79 კ., ბიბლიოთეკას გადასეს 100 მ. და ბ. კ. შავდაძას - 96 მ.—თეატრის შენობის ვალი და ერთი საზოგადოლო სადამოს გასამართავათ. გასავალი იყო სულ 35 მ. 79 კ.—100 მ.—96 მ.—231 მ. 79 კ. დაინახენი 50 მ. 79 კ. (282 მ. 58 კ.—231 მ. 79 კ.) გადაიღო თეატრის ფონდისათვის.

გამგე ო. წერეთლისა.
ოლიმპიადა ლორთქიფანიძე,
ილია ბანჭაძე,
პოლიკარპე ჩხიკვიშვილი,
პ. კიკალიშვილი.

კომიტეტის წევრები:

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გახეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შური.
ხელის მოწერა მიიღება: თფილისში—წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: დობროლიუბოვი.—საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, კოსუბრისა.—ტერ დაუოიანცი.—სხვა-და-სხვა ამბები.—რუსეთი—სახლვარ-გარეთ—კორესპონდენციები. წერილი ქუთაისიდან, ისი სა—ლექსი, ი. ევლოშვილისა.—ოც-და-ექვსი და ერთი, ზ. ჩიხუასი.—წერილი მიუნხენიდან პ. კ. ნიასა—ბერტელო პ. ს.—ქესი.—პასუხათ ბ. ყუმისთაველს, ნ. ელიაშვილს.—ყურანალ განუთებიდან.—დაგვიანებული წერილი, პ. კიკალიშვილისა—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის

საზოლოტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოლო ნახატბიანი გაზეთი „კ ვ ა ლ ი“ (წელიწადი მეათე)
გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.
წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ეკროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართულ მოღვაწეებს
გაზეთი წლიურათ ღ რს თფილისში 7 მან., თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ

4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შური, ადრესის გამოცვლა თფილისის გარეთ ღირს ორი ახაზი.
ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შექმონანონ:
ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო ქარვასლა) რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი შვილთან და თვით „კვალის“ რედაქცია ი, თეატრის ქუჩა, № 12 ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბუჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თაბართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თაბართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ქიათურაში სილოვან კვიციანიძესთან და ყვირილაში ივანე არდუშვილთან.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.